დანართი №3

ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის მიერ
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: შორენა ხუბუნაია

წევრები:

- ქეთევან ანთაძე
- თამილა გრძელიშვილი
- გიული გურგენიძე
- მზია ბაკურიძე
- თორნიკე თუთარაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისი**

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ა(ა)იპ**

საიდენტიფიკაციო კოდი: **400306860**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

დაწესებულების ავტორიზაცია

■ დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)

☐ დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის მიერ დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება მიზნით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 30 მაისის MES 8 25 0000599814 ბრძანების საფუძველზე, ამავე ბრძანებით შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს შემადგენლობით - შორენა ხუბუნაია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე), ქეთევან ანთაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (წევრი); თამილა გრძელიშვილი - დარგის ექსპერტი (წევრი) - „საექთნო განათლება“; გიული გურგენიძე - დარგის ექსპერტი (წევრი) - „ბუღალტრული აღრიცხვა“; მზია ბაკურიძე - დარგის ექსპერტი (წევრი) - „ფარმაცია (სააფთიაქო)“; თორნიკე თუთარაშვილი - დარგის ექსპერტი (წევრი) - „კომპიუტერული ქსელი და სისტემები, (შემდგომში „ექსპერტთა ჯგუფი“), დაგვევალა მიმდინარე წლის **25, 26 და 27 ივნისს** დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, ვიზიტის განხორციელება მისამართზე, ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზ. N189, ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისიში.

ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისიში (შემდგომში „აკადემია“ ან „დაწესებულება“ ან დასახელება სრულად) ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ზემოხსენებულ ბრძანებებს, აკადემიის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, აკადემიის ვებგვერდსა და მასზე გათავსებულ ინფორმაციას.

დაწესებულება პირველად გადის ავტორიზაციას, ამიტომ აკადემიაში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ჯერ არ განხორციელებულა.

2025 წლის 13 ივნისს ონლაინ პლატფორმის მეშვეობით შედგა ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა ვიზიტის დღის წესრიგის პროექტი, ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტის მოთხოვნებთან დაწესებულების მიმდინარე პროცესების შესაბამისობის დადასტურებისათვის აკადემიის მიერ წარმოსადგენი მტკიცებულებების/დოკუმენტების ნუსხა, ინტერვიურების სრულფასოვნად წარმართვის მიზნით კითხვების ჩამონათვალი და ჯგუფის წევრებს გადაუნაწილა ფუნქცია-მოვალეობები. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა აკადემიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგებსა და ძირითად მიგნებებზე, რომლის მიხედვითაც საბოლოო სახით ჩამოყალიბდა ვიზიტის დღის წესრიგი (იხ. დანართი N1) და დაიგეგმა ვიზიტთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები.

2025 წლის 25, 26 და 27 ივნისს ექსპერტთა ჯგუფმა, ცენტრის წარმომადგენელთან ერთად, განახორციელა ვიზიტი აკადემიაში. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით დაწესებულების პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, გაესაუბრა აკადემიის ადმინისტრაციულ პერსონალს, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროგრამის ხელმძღვანელებს (პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი სულ 5 პირი; 24 პროფესიული განათლების მასწავლებელი), პროგრამების განხორციელებაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ჩართული პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს (პსპ ფარმადან 2 წარმომადგენელი), 3 კლინიკის, სულ 6 წარმომადგენელი). დაწესებულებას პროფესიული სტუდენტები და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებული ჯერ არ ჰყავს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერდა აკადემიის ინფრასტრუქტურა და სასწავლო გარემო, სრულად იქნა შესწავლილი აკადემიის მიერ ძირითადი და დამხმარე პროცესების დაგეგმვა-ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები და წარმოდგენილია წინამდებარე დოკუმენტი.

დაწესებულებამ მიმდინარე წლის 16 ივლისის MES 8 25 0000877095 კორესპოდენციით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რის მიხედვითაც გაიზიარა ექსპერტთა დასკვნის პროექტში მოყვანილი გარემოებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ინფორმაცია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შესახებ, რომლის განხორციელების უფლების მოპოვებაც სურს დაწესებულებას საავტორიზაციო განაცხადით

პროგრამის სახელწოდება	პროგრამა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით/ პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	პროგრამის განხორციელების ადგილი
საექთნო განათლება	არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	რეალურ სამუშაო გარემოში	კოოპერაციული	ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. N189
ფარმაცია (სააფთიაქო)	არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	რეალურ სამუშაო გარემოში	კოოპერაციული	ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. N189
ბუღალტრული აღრიცხვა	არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	იმიტირებულ სამუშაო გარემოში	--	ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. N189
კომპიუტერული ქსელი და სისტემები	არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	იმიტირებულ სამუშაო გარემოში	--	ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. N189

IV. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
არა				

V. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
1) აკადემიის მისია და სტრატეგიული განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.1) პსდ-ს მისია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

4) ადამიანური რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	**☐ შეესაბამება** **■ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☐ შეესაბამება** **■ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	**☐ შეესაბამება** **■ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☐ შეესაბამება** **■ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
5.2) საინფორმაციო რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.3) ფინანსური რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

II. პროგრამის/პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
საექთნო განათლება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ფარმაცია (სააფთიაქო)	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ბუღალტრული აღრიცხვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპიუტერული ქსელი და სისტემები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

აკადემიის დირექტორის 2025 წლის 27 თებერვლის N15 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდატებთან აკადემიის შესაბამისობის გეგმის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით:

ინდიკატორი 5.1.2.3 მეტწილადაა დაკმაყოფილებული. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი არ არის შეთანხმებული კომპეტენტურ ორგანოსთან. *აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, აკადემიის დირექტორის 2025 წლის 27 თებერვლის N15 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის გეგმა, რომლის მეორე პუნქტით განსაზღვრულია აქტივობა - „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება კომპეტენტურ ორგანოსთან/პირთან და დამტკიცება დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ“. დაწესებულებას აქტივობის შესრულებისთვის განსაზღვრული აქვს ვადა 2025 წლის 28 აგვისტო, რაც ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით რელევანტურია. ვრცლად იხილეთ 5.1.2.3 ინდიკატორის აღწერა.*

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ა. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა I, III, IV და V სტანდარტებთან მიმართებით, განსავითარებლად და პროცესების უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად, შესაძლებლობის შემთხვევაში სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

ინდიკატორი 1.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ დაიცვას აკადემიის დირექტორის 2025 წლის 6 იანვრის N2 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნები და სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის შემადგენლობაში ჩართოს პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენლები. მიუხედავად იმისა, რომ აკადემია ახლა გადის პირველად ავტორიზაციას, მას აქვს პარტნიორ დაწესებულებებთან თანამშრომლობის მრავალწლიანი გამოცდილება სხვადასხვა ფორმალური და არაფორმალური მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიმართულებით, ამიტომ დაწესებულების სტრატეგიულ დაგეგმვაში პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენელთა ჩართულობა ხელს შეუწყოფს დაინტერესებული მხარეების მოლოდინების გათვალისწინებას.*

ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება განახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეიმუშაოს სამოქმედო გეგმის კვარტალური ანგარიშგების სტრუქტურირებული ფორმა, რაც გაამარტივებს ანგარიშგების პროცესს და სრულად უზრუნველყოფს საჭირო ინფორმაციის აკუმულირებას, ასევე აკადემიას შესაძლებლობას მისცემს შეაფასოს აქტივობის შესრულებული სტატუსი/ხარისხის და გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები პროცესის გაუმჯობესების მიმართულებით.

ინდიკატორი 4.1.1.3 დაკმაყოფილებულია, მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს, *თუმცა რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა პრაქტიკაში გამოიყენოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეიმუშაოს შესაბამისი დასკვნები, ანგარიშები და პროცესის გამოუჯობესების რეკომენდაციები. მიუხედავად იმისა, რომ აკადემიას ჯერ ავტორიზაცია არ აქვს, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ შესაძლებელი იყო ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიერ ზემოაღნიშნული მექანიზმების <u>გარკვეული ნაწილის</u> ამოქმედება, მაგალითად დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკურის რესურსების შეფასება, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასება და სხვ. მით უფრო დაწესებულება 17 წელია ფუნქციონირებს და ახორციელებს როგორც პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების, ისე სხვა სასერტიფიკატო პროგრამებს. ავტორიზაციის მიზნებისათვის დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტი, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიების ნაწილია, თუმცა ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ეს გარე ხარისხის უზრუნველყოფის ფორმალიზებული პროცესია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ხარისხის ზურუნველყოფის შიდა მექანიზმების ეფექტიანობის შედეგებს.*

ინდიკატორი 4.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს პერსონალის განვითარების კონკრეტული აქტივობების გეგმა-გრაფიკი, რომელიც ასევე დაეყრდნობა დაწესებულების პერსონალის საჭიროებების კვლევის შედეგებს.*

ინდიკატორი 5.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს „ძირითადი საშუალებებისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ინვენტარიზაციის წესი“ და გამოიყენოს პრაქტიკაში.*

ინდიკატორი 5.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში არსებობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები და ჰყავს პასუხიმგებელი პირი, *თუმცა, რეკომენდებულია დაწესებულებამ სრულფასოვნად განსაზღვროს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირები და მათზე დელეგირებული მოვალეობები, რელევანტურად განსაზღვროს პერსონალურ მონაცემთა შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული საფუძვლები და აკადემიაში დამუშავებას დაქვემდებარებული პერსონალური მონაცემების სახეები.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 5.2.3.1 დაკმაყოფილებულია. დაწესებულებას აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდი, რომელზეც ახორციელებს სწავლებას, *თუმცა, ვინაიდან აკადემიის მისიასა და დასახელებაში განსაზღვრული აქვს საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი - კერძოდ „ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის მისიაა მოამზადოს საერთაშორისო სტანდარტებისა და თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი მრავალპროფილური, კვალიფიციური, ინტელექტუალური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტები", რეკომენდებულია აკადემიამ შექმნას უცხოენოვანი ვებგვერდი.*

ინდიკატორი 5.2.3.4 დაკმაყოფილებულია. დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ, *თუმცა მას არ აქვს კატალოგის სახე, ამიტომ რეკომენდებულია აკადემიამ შეიმუშაოს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის გარდა მოიცავს ინფორმაციას დაწესებულების საქმიანობის, პარტნიორების, მიღწევების, სერვისების და სხვათა შესახებ, რაც საინტერესო და სასარგებლო იქნება დაინტერესებულ პირებისათვის.*

ინდიკატორი 5.3.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაო სააღრიცხვო პოლიტიკა, ასევე განსაზღვრაოს საბიუჯეტო დაგეგმვის, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამების საპროგნოზო და ფაქტობრივი ბიუჯეტების შემუშავებისა და ანგარიშგების პროცედურები, რაც დაეხმარებათ ფინანსური პროცესების ეფექტიან მართვაში.*

ბ. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან მიმართებით, განსავითარებლად და პროცესების უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად, შესაძლებლობის შემთხვევაში სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები"; „ბუღალტრული აღრიცხვა"; „საექთნო განათლება"; „ფარმაცია (სააფთიაქო)**

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშავოს პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის სქემა, სადაც მოდულით განსაზღვრული საკონტაქტო საათების გარდა, გათვალისწინებული იქნება ისეთი აქტივობები, როგორიცაა: სასწავლო პროცესისათვის მომზადება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების ჩატარება, სტუდენტთა კონსულტირება, სამუშაო ჯგუფებსა და კომისიების მუშაობაში ჩართულობა, ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიმდინარე წლის 16 ივლისის MES 8 25 0000877095 კორესპოდენციით წარმოადგინილია დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია, რის მიხედვითაც აკადემიამ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნის პროექტში მოყვანილი გარემოებები.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. **კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება**

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს

აკადემიის მისიიდან ჩანს, რომ დაწესებულება მრავალპროფილურია, აქცენტს აკეთებს საერთაშორისო სტანდარტებისა და თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი მრავალპროფილური, კვალიფიციური, ინტელექტუალური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებაზე. აკადემია საკუთარი მისიით ეხმიანება პროფესიული განათლების ისეთ მიზნებს, როგორიცაა: „ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოება და შეთავსებადობა.“ „მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა.“

დაწესებულების მისიაა - *მოამზადოს საერთაშორისო სტანდარტებისა და თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი მრავალპროფილური, კვალიფიციური, ინტელექტუალური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტები.*

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან

დაწესებულების მისიის მიხედვით, ირკვევა, რომ ის მრავალპროფილურია და იძლევა შესაძლებლობას აკადემიამ განახორციელოს სხვადასხვა მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, ამასთან ხაზს უსვამს საერთაშორისო სტანდარტებისა და თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების მნიშვნელობას. მისია არის მოკლე, გასაგები და მამოტივირებელი, გამოკვეთილია საერთაშორისო შრომის ბაზართან მჭიდრო თანამშრომლობით საზოგადოებრივი სიკეთის შექმნაზე ორიენტირებულ მიდგომები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.1.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან.

3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

დაწესებულების ხედვა და ღირებულებები თავსებადია აკადემიის მისიასთან და ითვალისწინებს მისიით განსაზღვრული მიმართულებების რეალიზებასთან დაკავშირებულ მიდგომებსა და პრინციპებს, ორიენტირებულია კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური კადრებით შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებაში წვლილის შეტანაზე და აქვს სურვილი 2028 წლისთვის წარმოადგენდეს განათლების ჰაბს, რომელიც უზრუნველყოფს ინკლუზიურ, უსაფრთხო და განვითარებაზე ორიენტირებულ გარემოს. იქნება ადგილი, სადაც ადამიანები საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებას შეძლებენ, გამოიმუშავებენ პროფესიულ უნარებს და გახდებიან შრომის ბაზრის მოთხოვნადი სპეციალისტები.

დაწესებულების ხედვასა და ღირებულებებში გაცხადებული ორიენტირის პრაქტიკაში რეალიზების მიზნით, აკადემიას მისიით განსაზღვრული პროფილის შესაბამისად, სურს განახორციელოს სხვადასხვა მიმართულების - ჯანდაცვა, ბუღალტრული აღრიცხვა და კომპიუტერული ტექნოლოგიები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, ცალკეული აქტივობების ორგანიზებისა და პარტნიორი დაწესებულებების ღონისძიებებში ჩართულობით ხელი შეუწყოს საკუთარი პერსონალისა და მომავალში - პროფესიული სტუდენტების განვითარებას, თანამშრომლობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულების დარგობრივ ორგანიზაციებთან და სხვა სფეროს წარმომადგენლებთან, რა დროსაც ურთიერთობს, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სტრუქტურებთან, რითაც ეხმიანება საკუთარ ღირებულებებს - პროფესიონალიზმი, გუნდური მუშაობა და ღიაობა. აკადემიას მნიშვნელოვნად მიაჩნია სამართლიანობა, თანასწორობა და ადამიანის უფლებების დაცვა ისეთ მნიშვნელოვან ასპექტთან მიმართებაში, რასაც გუნდური მუშაობის პრინციპები და საზოგადოების მიმართ პასუხისმგებლობა ჰქვია. აკადემია 17 წლის განმავლობაში ახორციელებს სასერტიფიკატო პროგრამებს, ბოლო რამდენინე წელია ასევე ჩართულია პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების ფართო სპექტრის პროგრამების განცორციელებაში. ჰყავს ასეულობით კურსდამთავრებული და მსმენელთა დასაქმების წარმატებული მაჩვენებლები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები.

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია აკადემიის ვებგვერდზე და დართული აქვს აკადემიის დირექტორის 2025 წლის 15 იანვრის N9 ბრძანებით დამტკიცებულ შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმას.

დაწესებულებაში მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისა და ცვლილებების შეტანის პროცესი რეგულირდება აკადემიის დირექტორის 2025 წლის 6 იანვრის N2 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიით“.

აკადემიის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების მიზნით დირექტორი ქმნის სამუშაო ჯგუფს. სამუშაო ჯგუფის ბრძანებით განისაზღვრება: სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე, სამუშაო ჯგუფის წევრები, რომლებიც შეიძლება იყვნენ აკადემიის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, პროფესიული მასწავლებლები, პროფესიული სტუდენტი, პარტნიორი ორგანიზაცია/დამსაქმებელი. შესაძლებელია დირექტორის ბრძანებით სამუშაო ჯგუფში შედიოდნენ სხვა დაინტერესებული მხარეებიც. დაწესებულებას საკუთარის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარების მიზნებისათვის იდენტიფიცირებული აქვს შემდეგი წყაროები - აკადემიის ვებგვერდი; ელექტრონული ფოსტა; საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან; ბეჭდვითი მასალები.

ზემოაღნიშნულის დასტურად წარმოდგენილია აკადემიის დირექტორის 2025 წლის 06 იანვრის N1 ბრძანება აკადემიის ლოგოს ფორმის, სატიტულო ფურცლის ფორმის, ბეჭდის ფორმისა და საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ. ასევე, აკადემიის დირექტორის 2025 წლის 10 იანვრის N7 ბრძანება აკადემიის სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, რის მიხედვითაც სამუშაო ჯგუფში შედიან: დირექტორი - ჯგუფის თავმჯდომარე, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, სტრატეგიული განვითარების კოორდინატორი, პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, ფინანსური და მატერიალური რესურსების მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, შრომის უსაფრთხოების მენეჯერი, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, ბიბლიოთეკარი. სამუშაო ჯგუფს დაევალა მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტების შემუშავება, SWOT ანალიზის შედგენა, დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფა, შვიდწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების პროექტის შემუშავება და სხვ. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის 2025 წლის 15 იანვრის N01 სხდომის საოქმო გადაწყვეტილება. სხდომაზე განხილულ იქნა იმ დოკუმენტების პროექტები, რომელთა შემუშავება დაევალა ჯგუფს აკადემიის დირექტორის 2025 წლის 10 იანვრის N7 ბრძანებით. დაწესებულებამ საკუთარი მისიის, ხედვისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ღირებულებების შემუშავება გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე აკადემიის დირექტორის მიერ სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა დამტკიცდებოდა, აღნიშნულის დასტურად, აკადემიის მიერ წარმოდგენილია 2024 წლის დეკემბრის თვეში განხორციელებული მიმოწერა აკადემიის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესახებ, რის მიხედვითაც ირკვევა, რომ აკადემიამ გააგზავნა წერილები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, მიღებული უკუკავშირები იყო დადებითი.

აკადემიის საზოგადოების მიერ დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარების მიზნებისათვის ისინი განთავსებულია აკადემიის ვებგვერდზე.

დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში აკადემიის საზოგადოების ჩართულობისა და მათ მიერ გაზიარების ფაქტი დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ აკადემიის პერსონალთან ინტერვიურების შედეგებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.1.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 6 იანვრის N2 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“;
2. დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები;
3. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 15 იანვრის N9 ბრძანებით დამტკიცებული შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
4. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 06 იანვრის N1 ბრძანება აკადემიის ლოგოს ფორმის, სატიტულო ფურცლის ფორმის, ბეჭდის ფორმისა და საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ;
5. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 10 იანვრის N7 ბრძანება აკადემიის სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
6. აკადემიის სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის 2025 წლის 15 იანვის N01 საოქმო გადაწყვეტილება;
7. აკადემიის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შეფასების თაობაზე პროფესიული განათლების მასწავლებლებთან მიმოწერა;
8. დაწესებულების პერსონალთან და პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები;
9. დაწესებულების ვებგვერდი - https://bdc-academy.ge

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას

აკადემიის დირექტორის 2025 წლის 6 იანვრის N2 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“, განსაზღვრავს მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავების, განხილვის, მათში ცვლილებების შეტანის, დამტკიცების, გაზიარების, ასევე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების საკითხებს. მეთოდოლოგიის მიხედვით, აღწერილია სტრატეგიული დაგეგმვის მიზანი და პროცესი, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესთან დაკავშირებული ძირითადი მიდგომები, დაინტერესებული მხარეების განსაზღვრისა და ინფორმაციის გაზიარების მექანიზმები, სამუშაო ჯგუფის ფორმირებისა და შემადგენლობის განსაზღვრის მიდგომები, მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავებისა და გაზიარების პროცედურები, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და გაზიარების გზები, მისიაში, ხედვასა და ღირებულებებში, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების შეტანისა და გაზიარების პროცედურები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიშგების პროცესი.

აკადემიის დირექტორის 2025 წლის 15 იანვრის N9 ბრძანებით დამტკიცებულია შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა (2025-2031წწ.) აკადემიაში სტრატეგიული დაგეგმვა ციკლური ხასიათისაა, გათვლილია 7 წლიან პერიოდზე და ითვალისწინებს სტრატეგიული მიზნების მიღწევისათვის საჭირო ამოცანებს, განხორციელების ვადებს (წლების ჭრილში) და შესრულების ინდიკატორებს, რომელთა საშუალებითაც მოხდება მასში მოცემული მიზნების მიღწევის ხარისხის შეფასება. სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნის შესაბამისი ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები.

აკადემია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში იყენებს SWOT ანალიზს, ახორციელებს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების, ასევე, საფრთხეებისა და შესაძლებლობების გაანალიზებას. დაწესებულება ფუნქციონირებს 17 წელია და ახორციელებს სხვადასხვა სახის სასერტიფიკატო და პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამებს, კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემიას 2023 წელს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის MES 8 23 0000942490 ბრძანებით მიენიჭა არაფორმალური განათლების აღიარების უფლება კანონმდებლობით დადგენილი გზით.

აკადემია საკუთარ *ძლიერ მხარეებად* მიიჩნევს - მაღალ რეპუტაციას, ლიდერის პოზიციას, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადების გამოცდილებას, დასაქმების მაღალ მაჩვენებლებს, მაღალკვალიფიციურ და გამოცდილ ინსტრუქტორებს, თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, აქტიურ თანამშრომლობას სხვადასხვა ორგანიზაციებთან, არაფორმალური განათლების აღიარების შესაძლებლობას; ხოლო *სუსტ მხარეებად* - საკუთარი შენობის არქონას, მატერიალური-ფინანსური დამოუკიდებლობის ნაკლებობას, საერთაშორისო ურთიერთობების სიმწირეს. დაწესებულებას ასევე განსაზღვრული აქვს საფრთხეები და შესაძლებლობები.

დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 15 იანვრის N9 ბრძანებით დამტკიცებულია ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სადაც განსაზღვრულია აკადემიის სტრატეგიული ამოცანების შესაბამისი აქტივობები, მიზნის მიღწევის ინდიკატორები, რისკები, რესურსები (მატერიალური, ფინანსური, ადამიანური), აქტივობების შესრულებით პერიოდი (თვეების ჭრილში) და აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები.

2025 წლის 10 იანვრის N7 ბრძანებით დამტკიცებულია აკადემიის სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფი, რის მიხედვითაც სამუშაო ჯგუფში შედიან: დირექტორი - ჯგუფის თავმჯდომარე, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, სტრატეგიული განვითარების კოორდინატორი, პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, ფინანსური და მატერიალური რესურსების მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, შრომის უსაფრთხოების მენეჯერი, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, ბიბლიოთეკარი. სამუშაო ჯგუფს დაევალა მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტების შემუშავება, SWOT ანალიზის შედგენა, დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფა, შვიდწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების პროექტის შემუშავება და სხვ. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის 2025 წლის 15 იანვრის N01 სხდომის საოქმო გადაწყვეტილება. სხდომაზე განხილულ იქნა იმ დოკუმენტების პროექტები, რომელთა შემუშავება დაევალა ჯგუფს აკადემიის დირექტორის 2025 წლის 10 იანვრის N7 ბრძანებით.

აკადემიის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, ისინი განთავსებულია აკადემიის ვებგვერდზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას

2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს

აკადემიის დირექტორის 2025 წლის 6 იანვრის N2 ბრძანებით დამტკიცებულია „ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“. დაწესებულება სტრატეგიული დაგეგმვისას იცავს შემდეგ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ძირითად პრინციპებს: გუნდურობა - სტრატეგიული დაგეგმვა თანამონაწილეობითი პროცესია, რაც ნიშნავს, რომ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ხორციელდება აკადემიის შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. თანამონაწილოების უზრუნველყოფის მიზნით, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის პირველ ეტაპზე აკადემიის დირექტორის ბრძანების შესაბამისად იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის შემუშავებას, მონიტორინგსა და შეფასებას; ქვეყნის/რეგიონის/თემის ინტერესების გათვალისწინება - აკადემიის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის/დარგის პრიორიტეტებს, რისთვისაც სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის დაწყებისას, სამუშაო ჯგუფი შეხვედრა(ებ)ზე განიხილავს დოკუმენტ(ებ)ს და საჭიროების შემთხვევაში, ითვალისწინებს მათ; გამჭვირვალობა - აკადემიის სტრატეგიული დაგეგმვის და მისი განხორციელების პროცესში მუდმივად ახდენს ინფორმაციის გაზიარებას დაინტერესებულ მხარეებთან, რითაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას; ანგარიშვალდებულება - აკადემია ყოველწლიურად მოამზადებს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს და უზრუნველყოფს მის საჯაროობას აკადემიის ვებგვერდზე გამოქვეყნებით.

აკადემიის დირექტორის 2025 წლის 10 იანვრის N7 ბრძანებით დამტკიცებულია აკადემიის სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფი, რის მიხედვითაც სამუშაო ჯგუფში შედიან: დირექტორი - ჯგუფის თავმჯდომარე, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, სტრატეგიული განვითარების კოორდინატორი, პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, ფინანსური და მატერიალური რესურსების მენეჯერი, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, შრომის უსაფრთხოების მენეჯერი, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, ბიბლიოთეკარი. დაწესებულებამ საკუთარი მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე აკადემიის დირექტორის მიერ სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა დამტკიცდებოდა, აღნიშნულის დასტურად, აკადემიის მიერ წარმოდგენილია 2024 წლის დეკემბრის თვეში გახორციელებული მიმოწერა აკადემიის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესახებ, რის მიხედვითაც ირკვევა, რომ აკადემიამ გააგზავნა წერილები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, საიდანაც მიღებული უკუკავშირები იყო დადებითი.

ვინაიდან აკადემიის სტრატეგიული დაგეგმვა დაიწყო 2025 წლის იანვარიდან, შესრულებული აქტივობების ანგარიშები ჯერ არ მომზადებულა.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ აკადემიის პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიურებისას დადგინდა, რომ ისინი იცნობენ და იზიარებენ აკადემიის სტრატეგიულ გეგმას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ დაიცვას აკადემიის დირექტორის 2025 წლის 6 იანვრის N2 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნები და სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის შემადგენლობაში ჩართოს პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენლები. მიუხედავად იმისა, რომ აკადემია ახლა გადის პირველად ავტორიზაციას, მას აქვს პარტნიორ დაწესებულებებთან თანამშრომლობის მრავალწლიანი გამოცდილება სხვადასხვა ფორმალური და არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიმართულებით, ამიტომ დაწესებულების სტრატეგიულ დაგეგმვაში პარტნიორი ორგანიზაციების წამომადგენელთა ჩართულობა ხელს შეუწყოფს დაინტერესებული მხარეების მოლოდინების გათვალისწინებას.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს

აკადემიის დირექტორის 2025 წლის 15 იანვრის N9 ბრძანებით დამტკიცებული შვიდწლიანი სტრატეგიულ გეგმა (2025-2031წწ.) მოიცავს სტრატეგიულ მიზნებს, ამოცანებს, განსახორციელებელი აქტივობებს, განხორციელების ვადებს, განმახორციელებელ პირებს და შესრულების ინდიკატორებს. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 4 მიზანი: სტრატეგიული მიზანი 1 - ორგანიზაციული შესაძლებლოებების განვითრება; სტრატეგიული მიზანი 2 - საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის განვითარება; სტრატეგიული მიზანი 3 - მომხმარებელზე ორიენტირებულობა და ინოვაციური სერვისების განვითარება; სტრატეგიული მიზანი 4 - საზოგადოებასთან ურთიერთობის განვითარება.

დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 15 იანვრის N9 ბრძანებით დამტკიცებულია ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სადაც განსაზღვრულია აკადემიის სტრატეგიული ამოცანების შესაბამისი აქტივობები, მიზნის მიღწევის ინდიკატორები, რისკები, აქტივობების შესრულებით პერიოდი (თვეების ჭრილში) და აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელი და შესრულების პროცესში ჩართული პირები, რა დროსაც დაცულია ინტერესთა კონფლიქტები. წლიური სამოქმედო გეგმა შემუშავებულია კალენდარული წლის ფარგლებში 2025 წლის იანვრიდან 2025 წლის დეკემბრის ჩათვლით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 6 იანვრის N2 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“;
2. დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები;
3. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 15 იანვრის N9 ბრძანებით დამტკიცებული შვიდწლიანი სტრატეგიულ გეგმა;
4. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 15 იანვრის N9 ბრძანებით დამტკიცებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
5. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 10 იანვრის N7 ბრძანებით დამტკიცებული აკადემიის სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფი;
6. აკადემიის სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის 2025 წლის 15 იანვის N01 საოქმო გადაწყვეტილება;
7. აკადემიის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შეფასების თაობაზე პროფესიული განათლების მასწავლებლებთან მიმოწერა;
8. დაწესებულების პერსონალთან, პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები;
9. დაწესებულების ვებგვერდი - https://bdc-academy.ge

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
აკადემიის დირექტორის 2025 წლის 6 იანვრის N2 ბრძანებით დამტკიცებულია „ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“, რომლის მე-10 მუხლი არეგულირებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიშგების პროცედურებს.

აკადემია განახორციელებს სამოქმედო გეგმის მონიტორინგსა და შეფასებას. სამოქმედო ერთწლიანი გეგმის შუალედური შეფასება განხორციელდება 6 თვეში ერთხელ, ხოლო საბოლოო შეფასება სამოქმედო გეგმის დასრულებისას (ბოლო თვეს). საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. დაწესებულების რეგულაციის მიხედვით - თუ დაგეგმვის მიმდინარე წელს გაწერილი აქტივობები სრულად ვერ შესრულდა მოხდება სამოქმედო გეგმის დაკორექტირება, ან სათადარიგო გეგმის ამუშავება, რომელსაც ექნება დამატებითი სამოქმედო ინსტრუქცია; სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ცნობილი და გაზიარდება სამუშაო შეხვედრაზე, რომელსაც უნდა დაესწროს ადმინისტრაციის თანამშრომლები, საგანმანთლებლო პროგრამის ხელმძღვანელები, პროფესიული მასწავლებლები და სხვა; სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება სამ წელიწადში ერთხელ - ასევე სამოქმედო გეგმების წლიური შესრულების ანგარიშის საფუძველზე. აკადემიისთვის სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ნიშნავს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და ქვეამოცანების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. შეფასება ნიშნავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას. სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების პროცესის შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს აღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა; ასევე, შეფასების შედეგები აკადემიის მენეჯმენტს აძლევს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, არსებული გამოწვევების და პრობლემების შესახებ. შეფასების შედეგებს აკადემია გამოიყენებს შემდგომი განვითარებისათვის. წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები გაფორმდება ანგარიშის სახით და წარედგინება დირექტორს. სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში საფუძვლად დაედება შემდგომი ახალი წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებას. სამოქმედო გეგმის ანგარიშს მოამზადებს სამუშაო ჯგუფი, შესაბამისი მტკიცებულებების დამუშავების საფუძველზე. აკადემია უფლებამოსილია ანგარიშში შეიტანოს ისეთი ინფორმაციაც, რომელიც არ შედიოდა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის აქტივობებში. დირექტორთან შეთანხმებული ანგარიში განთავსდება აკადემიის ვებგვერზე.

დაწესებულებაში ჯერ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ანგარიშგება არ განხორციელებულა. სამოქმედო გეგმის მიხედვით პირველი ანგარიშის წარმოდგენის ვადად აკადემიას განსაზღვრული აქვს 6 თვე, რომელიც სრულდება მიმდინარე წლის ივნისის თვეში. პერსონალმა ინტერვიურებისას განაცხადა, რომ დაწყებული აქვთ მუშაობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

გათვალისწინებით, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს სამოქმედო გეგმის კვარტალური ანგარიშგების სტრუქტურირებული ფორმა, რაც გაამარტივებს ანგარიშგების პროცესს და სრულად უზრუნველყოფს საჭირო ინფორმაციის აკუმულირებას, ასევე აკადემიას შესაძლებლობას მისცემს შეაფასოს აქტივობის შესრულებული სტატუსი/ხარისხი და გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები პროცესის გაუმჯობესების მიმართულებით.*

2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე

აკადემიის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია 2025 წელს, შესაბამისად ჯერ შეფასება არ განხორციელებულა, თუმცა აკადემიის დირექტორის 2025 წლის 6 იანვრის N2 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ მე-10 მუხლი არეგულირებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის, შეფასების, სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიშგებისა და მიღებული შედეგების მიხედვით განსახორციელებელი ღონისძებების პროცედურებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების შედეგებზე რეაგირების მექანიზმები.

3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

აკადემიის პირველი სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია 2025 წელს, შესაბამისად ჯერ შეფასება არ განხორციელებულა, თუმცა აკადემიის დირექტორის 2025 წლის 6 იანვრის N2 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ მე-10 მუხლი არეგულირებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიშგების პროცედურებს. აღნიშნული მეთოდოლოგიის მე-10 მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით, აკადემიის დირექტორთან შეთანხმებული ანგარიში განთავსდება აკადემიის ვებგვერდზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას შემუშავებული აქვს სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების საჯაროდ ხელმისაწვდომიის მექანიზმები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 6 იანვრის N2 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“;
2. დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები;
3. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 15 იანვრის N9 ბრძანებით დამტკიცებული შვიდწლიანი სტრატეგიულ გეგმა;
4. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 15 იანვრის N9 ბრძანებით დამტკიცებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
5. დაწესებულების პერსონალთან, პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები;
6. დაწესებულების ვებგვერდი - https://bdc-academy.ge

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;

აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები“, რომლის მეორე თავი არეგულირებს პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესის დაგეგმვისა და ორგანიზების საკითხებს, თუმცა ზოგიერთი დებულება არასრული ან ნაკლებად რელევანტურია, *მაგალითად - მუხლი 19. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წინაპირობები, წესში მოცემულია მხოლოდ ერთი პუნქტი - 19.1. საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც აქვს სულ მცირე საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, მაშინ როდესაც დაწესებულებას სურს განახორციელოს მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.* ამავე წესის 23-ე მუხლი არეგულირებს აპლიკანტთა შერჩევის ფორმას, თუმცა ის არარელევანტურია იმ პროფესიული პროგრამის მიზნებისათვის, რომელთა დამატებაც სურს აკადემიას. კერძოდ მოცემულია - მუხლი 23. აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - 23.1. აპლიკანტთა შერჩევა გულისხმობს პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტთა შეფასებას. აკადემიაში შერჩევის მეთოდებად გამოიყენება მოტივაციური გასაუბრება და სპეც. ტური (პროფესიული მოსინჯვა). შერჩევის პერიოდი და სწავლის დაწყების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქტით/აქტებით. ამავე წესის 25.3. პუნქტი არეგულირებს აპლიკანტთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას, რომლის გ) პუნქტის მიხედვით, მოთხოვნილია - (სულ მცირე საბაზო განათლების ატესტატი, ან სრული და სხვა). ვინაიდან აკადემიას სურს მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება, საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის არსებობა არ იქნება საკმარისი ზემოაღნიშნულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობად. დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში დირექტორის 2025 წლის 26 ივნისის N00000035 ბრძანებით შეიტანა ცვლილებები „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმებში“ და პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პირობები მოვიდა შესაბამისობაში „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებულ მექანიზმებთან, რომელშიც ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2025 წლის 14 აპრილს, ბრძანება N20/ნ.

აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები“ განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება/სტატუსის აღდგენის, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის, მობილობა და პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, ფორმალური და არაფორმალური განათლების აღიარების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმისა და ინკლუზიური განათლების მართვის, საკვალიფიკაციო გამოცდისა და კვალიფიკაციის მინიჭების მექანიზმებს. აღნიშნული დებულებები არ არღვევს კანონმდებლობით განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა უფლებებს.

აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმების“ 26-ე მუხლი განსაზღვრავს აპლიკანტთა მიერ ჩარიცხვის მიზნებისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხას, სადაც სხვა დოკუმენტებთან ერთად მოთხოვნილია წვევამდელის სტატუსის მქონე აკადემიაში სწავლის მსურველი პირების მიერ ხელშეკრულების გაფორმებამდე წვევამდელის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ან წვევამდელის სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი დოკუმენტის წარმოდგენა, ასევე მოთხოვნილია უცხოეთში და უკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების შემთხვევაში - განათლების აღიარების დოკუმენტის წარმოდგენა. აღნიშნული მექანიზმები დაწესებულებამ შეიმუშავა აკადემიაში ექსპერტთა ვიზიტის დროს, რისთვისაც გამოიცა დირექტორის 2025 წლის 26 ივნისის N00000035 ბრძანება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმებში“ ცვლილებების შეტანის შესახებ.

აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „შინაგანაწესის“ 37-39 მუხლები არეგულირებს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მათ შორის არასრულწლოვანი პირის უფლებებს, ვალდებულებებს, პასუხისმგებლობას და დისციპლინური პასუხიმგებლობის ღონისძიებებს, რაც არ არის წინააღმდეგობაში კანონმდებლობის მოთხოვნებთან. დისციპლინრი წარმოების პროცედურა დაწესებულებაში არ იყო განსაზღვრული. დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში დირექტორის 2025 წლის 26 ივნისის N00000036 ბრძანებით შეიტანა ცვლილებები აკადემიის შინაგანაწესში და დაარეგულირა დისციპლინურ წარმოებასთან დაკავშირებული ვადები და პროცედურები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების შიდა რეგულაციებით განსაზღვრულია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;

აკადემიას ჯერ პროფესიული სტუდენტები არ ჰყავს, შესაბამისად, მოცემული ინდიკატორის შეფასება ვერ მოხერხდა, თუმცა აკადემიის დირექტორის 2025 წლის 10 იანვრის N6 ბრძანებით დამტკიცებული "სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმების" მე-2 მუხლი არეგულირებს "პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტირების პროცედურებს", კერძოდ, მიღებული პროფესიულ სტუდენტთა ყველა ნაკადის პირველივე სასწავლო დღეს აკადემიის პერსონალი გეგმავს მათთან გაცნობით შეხვედრას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ აკადემიის ადმინისტრაციის თანამშრომლები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები და პროფესიული განათლების მასწავლებლები. შეხვედრას გახსნის აკადემიის დირექტორი, რომელიც პროფესიულ სტუდენტებს გააცნობს აკადემიის მისიას, ხედვას, ღირებულებებსა და საქმიანობის ძირითად პრინციპებს. რის შემდეგაც, შეხვედრაში მონაწილე აკადემიის სხვა თანამშრომლები პროფესიულ სტუდენტებს მიაწვდიან ინფორმაციას აკადემიის სერვისებისა და ზოგადად არსებული შესაძლებლობების, პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და ვალდებულებების, სასწავლო პროცესის თავისებურებების, ქცევისა და ეთიკის ნორმების, უსაფრთხოებისა და სხვა წესების შესახებ. აღნიშნული შეხვედრა დასრულდება აკადემიის შენობაში ექსკურსიის მოწყობით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას გააჩნია პროფესიული სტუდენტებისთვის მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმების გაცნობის პროცედურა.

3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით

აკადემის ჯერ პროფესიული სტუდენტები არ ჰყავს, შესაბამისად, მოცემული ინდიკატორის შეფასება ვერ მოხერხდა, თუმცა აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმების" მე-15 მუხლი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის შეფასების, ხოლო ამავე წესის მე-16 მუხლი არეგულირებს შეფასების შედეგების გასაჩივრების მექაზნიმებს, რომლებიც არ არის წინააღმდეგობაში კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და არ ზღუდავს პროფესიულ სტუდენტთა უფლებებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას გააჩნია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემისა და შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმების თაობაზე მათი ინფორმირების პროცედურები.

4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა

აკადემის ჯერ პროფესიული სტუდენტები არ ჰყავს, შესაბამისად, მოცემული ინდიკატორის შეფასება ვერ მოხერხდა. თუმცა, დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიულ სტუდენტებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში, რომელიც არ არის წინააღმდეგობაში კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები.

5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები“, რომლის 42-ე მუხლი არეგულირებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმებს. აკადემია გეგმავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიმუშაოს შემდეგ შემთხვევებში - ა) სსსმ პროფესიული სტუდენტისთვის, რომელიც სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს; ბ) მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტისთვის, რომლის სწავლის შედეგები განსხვავებულია აკადემიის შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისგან; გ) პროფესიული სტუდენტისთვის, რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა ერთ თვეზე მეტხანს ან/და დაუგროვდა საპატიო გაცდენების დიდი ოდენობა და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას; დ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სარგებლობის საჭიროების სხვა დადასტურების შემთხვევებში. დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, დირექტორის 2025 წლის 26 ივნისის N00000035 ბრძანებით შევიდა ცვლილებები „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმებში“ და განისაზღვრა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და მასში პროფესიული სტუდენტის ჩართულობის საკითხი, რაც შესაბამისობია კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამისი პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):
1. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები“;
2. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „შინაგანაწესი“;
3. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 10 იანვრის N6 ბრძანებით დამტკიცებული „სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები“;
4. აკადემიის აკადემიის 2025 წლის 26 ივნისის N 00000035 და N 00000036 ბრძანებები დაწესებულების შიდა მარეგულირებელ აქტებში ცვლილებების შეტანის თაობაზე;
5. პროფესიულ სტუდენტებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში;
6. პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
7. https://bdc-academy.ge

შეფასება:
☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

აკადემიას ჯერ პროფესიული სტუდენტები არ ჰყავს, თუმცა აკადემიის დირექტორის 2025 წლის 10 იანვრის ბრძანებით დამტკიცებული „სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმების“ მესამე მუხლი განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის შემდეგ ღონისძიებებს - პროფესიული განათლების მასწავლებლები ეტაპობრივად, საჭიროების მიხედვით, ორგანიზებას გაუწევენ ინდივიდუალურ საკონსულტაციო შეხვედრებს იმ პროფესიულ სტუდენტებთან, რომლებსაც გარკვეული პრობლემები აქვთ სწავლის მიღწევების თვალისზრისით. აღნიშნული შეხვედრის ფაგრლებში პროფესიული განათლების მასწავლებელი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას მისი სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ და მასთან ერთად განიხილავს აღნიშნული შედეგის გაუმჯობესების შესაძლებლობებს. პროფესიულ სტუდენტებს სასწავლო პროცესის ორგანიზების, მიმდინარეობისა და სწავლის შედეგების მიღწევების შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტირებას გაუწევენ: სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, რაც დარეგულირებულია აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმებით“, აკადემიის დირექტორის 2025 წლის 6 იანვრის N2 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით - „თანამდებობრივი პოზიციების ფუნქცია-მოვალეობები“ და პერსონალის სამუშაო აღწერილობებით.

პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები დაწესებულებას ასევე გაწერილი აქვს შემდეგ მარეგულირებელ აქტებში:

1. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებულ „შინაგანაწესში“;
2. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 6 იანვრის N1 ბრძანებით დამტკიცებულ „საქმისწარმოების წესში“;
3. აკადემიის დირექტორის 2025 წელი 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებულ „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესში“ და სხვ.

ვინაიდან აკადემიას ჯერ პროფესიული სტუდენტები არ ჰყავს, ზემოაღნიშნული მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენების ეფექტიანობა ვერ შეფასდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა სათანადო კონსულტაციისა და მხარდაჭერის მექანიზმები აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

აკადემიას ჯერ პროფესიული სტუდენტები არ ჰყავს, თუმცა აკადემიის დირექტორის 2025 წლის 10 იანვრის N6 ბრძანებით დამტკიცებული „სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმების“ მე-2 მუხლი არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტირების პროცედურებს, კერძოდ, პროფესიულ სტუდენტთა ყველა ნაკადის პირველივე სასწავლო დღეს აკადემიის პერსონალი გეგმავს მათთან გაცნობით შეხვედრას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ აკადემიის ადმინისტრაციის თანამშრომლები, პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები და პროფესიული განათლების მასწავლებლები. შეხვედრას გახსნის აკადემიის დირექტორი, რომელიც პროფესიული სტუდენტებს გააცნობს აკადემიის მისიას, ხედვას, ღირებულებებსა და საქმიანობის ძირითად პრინციპებს, რის შემდეგაც შეხვედრაში მონაწილე აკადემიის სხვა თანამშრომლები პროფესიულ სტუდენტებს მიაწვდიან ინფორმაციას აკადემიის სერვისებისა და ზოგადად არსებული შესაძლებლობების, პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და ვალდებულებების, სასწავლო პროცესის თავისებურებების, ქცევისა და ეთიკის ნორმების, უსაფრთხოებისა და სხვა წესების შესახებ. აღნიშნული შეხვედრა დასრულდება აკადემიის შენობაში ექსკურსიის მოწყობით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს სასწავლო გარემოსთან პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციის მექანიზმები.

3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას

დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 6 იანვრის N1 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესის“ მიხედვით, აკადემიაში მატერიალურად შემოსული კორესპონდენცია შემოსვლის დღეს ელექტრონულად იტვირთება და რეგისტრირდება eflow-ს სისტემაში. დაწესებულების საქმისწარმოების წესის მე-5 მუხლის შესაბამისად, გამოიყენება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული ვადები. აკადემიის მიერ დოკუმენტების/კორესპოდენციაზე პასუხების გაცემის პრაქტიკის შესწავლის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფი გაესაურა დაწესებულებაში საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელ პირს, შემოწმდა საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში და მატერიალურ ჟურნალებში რეგისტრირებული დოკუმენტები.

დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 6 იანვრის N1 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესის“ მე - 12 მუხლი არეგულირებს პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელი საგანმანათლებლო დოკუმენტის დიპლომის/სერტიფიკატის გაცემის წესს, რომელიც არ არის წინააღმდეგობაში კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

აკადემიის დირექტორის 2025 წლის 10 იანვრის N6 ბრძანებით დამტკიცებული "სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმების" მე-3 მუხლი განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებებს, კერძოდ პროფესიული სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭერა (სერტიფიკატის თუ დიპლომის გაცემა, შიდა თუ გარე მობილობის ხელშეწყობა, წინარე განათლების აღიარება, სააპელაციო საჩივრის განხილვა და სხვა.) განხორციელდება პროფესიული სტუდენტის მომართვიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, ხოლო ცნობის გაცემა - მომართვიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში გაუწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას

აკადემიის დირექტორის 2025 წლის 10 იანვრის N6 ბრძანებით დამტკიცებული „სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმების" მეოთხე მუხლით განსაზღვრულია სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი, რომელთა მიზანია საკვანძო კომპეტენციების ფორმალური საგანმანათლებლო პროცესის მიღმა, ალტერნატიული გზებით გამომუშავება და სამოქალაქო თვითშეგნების/განათლების განვითარების ხელშეწყობა. აკადემიის ბიუჯეტის შედგენისას ხდება სტუდენტური ინიციატივების (მათ შორის, სპორტული/შემოქმედებითი) მხარდაჭერის გათვალისწინება, რომლის ფარგლებში აკადემია დააფინანსებს საუკეთესო ინიციატივებს. მხარდაჭერის პროცედურა იწყება პროფესიული სტუდენტის ან პროფესიულ სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფის მიერ ინიცირებით (საპროექტო განაცხადის მიღება წარმოებს მთელი წლის განმავლობაში), კერძოდ, ინიციატივა საპროექტო განაცხადის სახით წარედგინება აკადემიის დირექტორს. საპროექტო განაცხადი უნდა მოიცავდეს შესაბამის დასაბუთებასა და პროექტის ბიუჯეტს. საპროექტო განაცხადის განხილვის ეტაპზე უპირატესობა მიენიჭება ისეთ საპროექტო განაცხადს, რომელიც ხელს შეუწყობს: პროფესიულ სტუდენტთა აკადემიურ, სოციალურ და ფსიქოლოგიურ განვითარებას; პროფესიულ სტუდენტებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას; პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობას სამოქალაქო აქტივობებში; პროფესიულ სტუდენტებში ორგანიზაციული უნარების ჩამოყალიბებას; მისცემს პროფესიულ სტუდენტებს თვითრეალიზაციის საშუალებას; ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების და აკადემიის პოპულარიზაციას. საპროექტო განაცხადს განიხილავს დირექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი დროებითი კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს თავად აკადემიის დირექტორი. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროფესიულ სტუდენტთა აქტივობების ინიცირების განხილვისა და დაკმაყოფილების პროცედურები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები.

5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას

დაწესებულებას ჯერ პროფესიული სტუდენტები არ ჰყავს, თუმცა აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული აქვს "ხარისხის უზრუნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმები", რომლის მე-4 მუხლის მიხედვით ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი შეიმუშავებს კვლევის კითხვარის (პროფესიული სტუდენტი/მსმენელი, კურსდამთავრებული, პროფესიული განთლების მასწავლებლი, ადმინისტრაციული პერსონალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და დამსაქმებლი) ფორმებს: მათ შორის წარმოდგენილია კითხვარი - სტუდენტური სერვისებისა და შესაბამისი ინიციატივების მხარდაჭერისა და სხვა საკითხების გამოკვლევის მიზნით. ხარისხის უზურნველყოფის მენეჯერი ყველა კითხვარის ჩატარების საფუძველზე მომზადებულ ანალიზსა და განვითარების გეგმას წარუდგენს დირექტორს. ვინაიდან აკადემიას ჯერ პროფესიული სტუდენტი არ ჰყავს, ვერ შეფასდა შიდა მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენების შედეგები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება გააუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები“;
2. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „შინაგანაწესი“;
3. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 10 იანვრის N6 ბრძანებით დამტკიცებული „სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები”;
4. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 6 იანვრის N1 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესი“;
5. აკადემიის დირექტორის 2025 წელი 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“;
6. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმები”;
7. პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
8. https://bdc-academy.ge

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;

აკადემიის დირექტორის 2025 წლის 10 იანვრის N6 ბრძანებით დამტკიცებული „სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმების” მე-5 მუხლი არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და დასაქმების ხელშეწყობის პროცედურებს. აკადემიის მიერ პროფესიულ სტუდენტთათვის კარიერული მხარდაჭერის მომსახურების შეთავაზების მიზნით განსაზღვრული აქვს ისეთი მექანიზმები, როგორიცაა - კარიერული კონსულტაციები (CV-ის მომზადება, გასაუბრებები და სხვა); სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდება ვაკანსიებზე, სტაჟირებასა და პროექტებზე; ლიდერობის, მენეჯმენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

და კომუნიკაციის ტრენინგები; სტუდენტებისათვის პრეზენტაციის და საჯარო გამოსვლის პრაქტიკა; სტუდენტებისათვის პარტნიორ კომპანიებთან თანამშრომლობითი ორგანიზებული სტაჟირებები; დასაქმების ფორუმები; დამსაქმებელთა და სტუდენტთა შეხვედრები და სხვ. აღნიშნული მექანიზმები დაწესებულებას ექსპერტთა ვიზიტამდე დარეგულირებული არ ჰქონდა. აკადემიაში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში გამოიცა დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 25 ივნისის N00000029 ბრძანება „სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმებში" ცვლილებების შეტანის თაობაზე.

აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთა კარიერულ მხარდაჭერაზე პასუხისმგებელია კარიერული მხარდაჭერისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.2.1 დაკმაყოფილებულია, კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის

2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

აკადემიის დირექტორის 2025 წლის 10 იანვრის N6 ბრძანებით დამტკიცებულია „სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები", რომლის მე-5 მუხლი არეგულირებს, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სერვისებს, სამიზნე აუდიტორიასა და სერვისების მიწოდების მექანიზმებს. კარიერული მხარდაჭერისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა ინტერვიურებისას განაცხადა, რომ ის აქტიურად თანამშრომლობს დაწესებულების პარტნიორ ორგანიზაციებთან და მათი მომართვის საფუძველზე არაერთ ვაკანსიას უზრიარებს არსებულს მსმენელებსა და კურსდამთავრებულებს და მომავალში ასევე დაეხმარება პროფესიულ სტუდენტებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება მუდმივად მიაწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით

დაწესებულებას ჯერ პროფესიული სტუდენტები არ ჰყავს, თუმცა აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული აქვს "ხარისხის უზრუნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმები", რომლის მე-4 მუხლის მიხედვით ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი შეიმუშავებს კვლევის კითხვარის (პროფესიული სტუდენტი/მსმენელი, კურსდამთავრებული, პროფესიული განთლების მასწავლებლი, ადმინისტრაციული პერსონალი და დამსაქმებელი) ფორმებს: მათ შორის წარმოდგენილია კურსდამთავრებულების დასაქმებისა და კმაყოფილების კვლევის კითხვარი. ხარისხის უზურნველყოფის მენეჯერი ყველა კითხვარის ჩატარების საფუძველზე მომზადებულ ანალიზსა და განვითარების გეგმას წარუდგენს დირექტორს. ვინაიდან აკადემიას ჯერ პროფესიული სტუდენტი არ ჰყავს, ვერ შეფასდა შიდა მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენების შედეგები. თუმცა, კვლევის კითხვარები შემუშავებული იყო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას დარეგულირებული აქვს პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით კვლევის პროცედურა.

4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

დაწესებულებას ჯერ პროფესიული სტუდენტები არ ჰყავს, თუმცა აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული აქვს "ხარისხის უზრუნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმები", რომლის მე-4 მუხლის მიხედვით ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი შეიმუშავებს კვლევის კითხვარის (პროფესიული სტუდენტი/მსმენელი, კურსდამთავრებული, პროფესიული განთლების მასწავლებლი, ადმინისტრაციული პერსონალი და დამსაქმებლი) ფორმებს: მათ შორის წარმოდგენილია კურსდამთავრებულების დასაქმებისა და კმაყოფილების კვლევის კითხვარი. ხარისხის უზურნველყოფის მენეჯერი ყველა კითხვარის ჩატარების საფუძველზე მომზადებულ ანალიზსა და განვითარების გეგმას წარუდგენს დირექტორს. ვინაიდან აკადემიას ჯერ პროფესიული სტუდენტი არ ჰყავს, ვერ შეფასდა შიდა მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენების შედეგები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.2.4 დაკმაყოფილებულია, კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება უზრუნველყოფს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 10 იანვრის N6 ბრძანებით დამტკიცებული „სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები";
2. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმები";
3. პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კითხვარები;
4. აკადემიის პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
5. აკადემიის ვებგვერდი - https://bdc-academy.ge

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

აკადემიის დირექტორის 2025 წლის 6 იანვრის N2 ბრძანებით დამტკიცებულია „თანამდებობრივი პოზიციების ფუნქცია-მოვალეობები“, აკადემიის მართვის კოლეგიური ორგანოებია: დამფუძნებელთა კრება, დირექტორი. აკადემიის თანამდებობრივი პოზიციებია: ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი; სტრატეგიული განვითარების კოორდინატორი; სასწავლო პროცესის მენეჯერი; ფინანსური და მატერიალური რესურსების მენეჯერი; შრომის უსაფრთხოების მენეჯერი; პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი; საქმისმწარმოებელი და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი; ბიბლიოთეკარი; პროგრამის ხელმძღვანელი; პროფესიული განათლების მასწავლებელი; დიასახლისი.

აკადემიის დირექტორის 2025 წლის 6 იანვრის N2 ბრძანებით დამტკიცებულია აკადემიის სტრუქტურა, სადაც განსაზღვრულია საშტატო ერთეულები და მათი დაქვემდებარების სისტემა. თუმცა, დაწესებულებაში სტრუქტურის მიხედვით საშტატო ერთეულების დაქვემდებარების სისტემა არ გამორიცხავდა ინტერესთა კონფლიქტს, რადგან ისინი დირექტორთან ერთად, ასევე ექვემდებარებოდნენ ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს. აკადემიაში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში გამოიცა დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 25 ივნისის N00000030 ბრძანება დაწესებულების სტრუქტურაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რის საფუძველზეც გასწორდა დაწესებულებაში საშტატო ერთეულების დაქვემდებარების სისტემა.

აკადემიის პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია აკადემიის დირექტორის 2025 წლის 6 იანვრის N2 ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში - „თანამდებობრივი პოზიციების ფუნქცია-მოვალეობები“, ასევე თითოეული საშტატო ერთეულისთვის შემუშავებულია სამუშაოს აღწერილობის ფორმები, რომელიც ხელმოწერილია აკადემიის დირექტორისა და დასაქმებულთა მხრიდან. დოკუმენტში გაწერილია კოლეგიალური ორგანოს შემადგენლობა და უფლება-მოვალეობები, აკადემიის პერსონალის ანგარიშვალდებულება, საკვალიფიკაციო მოთხოვნები (კვალიფიკაცია/ცოდნა/უნარები) და სხვა.

აკადემიაში პერსონალისათვის ფუნქცია-მოვალეობებისა და სამუშაო პირობების შესახებ ინფორმაციის გაცნობის ფაქტი დასტურდება სამუშაოს აღწერილობაზე პერსონალის ხელმოწერით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ აკადემიის პერსონალთან, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიურებისას მიზნობრივი კითხვების გამოყენებით დადგინდა, რომ აკადემიის პერსონალი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.1 დაკმაყოფილებულია, მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/საშტატო ერთეულების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.

2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

აკადემიის დირექტორის 2025 წლის 6 იანვრის N2 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტის - „თანამდებობრივი პოზიციების ფუნქცია-მოვალეობები“ მიხედვით, პერსონალისათვის დელეგირებული ფუნქცია-მოვალეობები უზრუნველყოფს დაწესებულების ძირითადი პროცესების განხორციელებას.

საშტატო ერთეულისათვის განსაზღვრული სამუშაოს აღწერილობების მიხედვით პერსონალის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ფარავს დაწესებულების ძირითადი და დამხმარე პროესების ადმინისტრირების საკითხებს.

დაწესებულების სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში შესაბამისი აქტივობების შესრულებისათვის განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები, რომელთა გადანაწილება არ მოდის წინააღმდეგობაში დაწესებულებაში პერსონალისათვის დელეგირებულ ფუნქციებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს

აკადემიის დირექტორის 2025 წლის 6 იანვრის N2 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტის - „თანამდებობრივი პოზიციების ფუნქცია-მოვალეობები“ მიხედვით, პერსონალისთვის დელეგირებული ფუნქცია-მოვალეობები გამორიცხავს აკადემიაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის პერსონალის ფუნქციების ინტერესთა კონფლიქტს. აკადემიის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით ფუნქცია-მოვალეობების შესრულებისას ინტერესთა კონფლიქტის არსებობის ფაქტი ვლინდებოდა აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტში, მიღებული ფორმალური განათლების აღიარებისა და პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების დროს, თუმცა აღნიშნული შეუსაბამომებები დაწესებულებამ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში გამოასწორა.

აკადემიის დირექტორის 2025 წლის 08 იანვრის №5 ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის სამოქმედო გეგმა 2025-2026წწ“. დოკუმეტში გაწერილი აქტივობები შესაბამისობაშია ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციებთან, წარმოდგენილია დაწესებულების პროცესების მონიტორინგის აქტივობები ავტორიზაციის სტანდარტების მიხედვით და ხელს უწყობს აკადემიის ძირითადი და დამხმარე ისეთი პროცედურების შეფასებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.3 დაკმაყოფილებულია, მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს, *თუმცა რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა პრაქტიკაში გამოიყენოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეიმუშაოს შესაბამისი დასკვნები, ანგარიშები და პროცესის გამოუჯობესების რეკომენდაციები. მიუხედავად იმისა, რომ აკადემიას ჯერ ავტორიზაცია არ აქვს, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ შესაძლებელი იყო ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიერ ზემოაღნიშნული მექანიზმების გარკვეული ნაწილის ამოქმედება, მაგალითად: დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკურის რესურსების შეფასება, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება, ადმინისტრაციული და დახმარე პერსონალის საქმიანობის შეფასება და სხვ. მით უფრო დაწესებულება ფუნქციონირებს დიდიხანია და ახორციელებს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამებს. ავტორიზაციის მიზნებისათვის დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტი, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიების ნაწილია, თუმცა ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ეს გარე ხარისხის უზრუნველყოფის ფორმალიზებული პროცესია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ხარისხის ზურუნველყოფის შიდა მექანიზმების ეფექტიანობის შედეგებს.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 6 იანვრის N2 ბრძანებით დამტკიცებული „თანამდებობრივი პოზიციების ფუნქცია-მოვალეობები“;
2. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 6 იანვრის N2 ბრძანებით დამტკიცებული აკადემიის სტრუქტურა;
3. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 25 ივნისის N00000030 ბრძანება დაწესებულების სტრუქტურაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;
4. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 08 იანვრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის სამოქმედო გეგმა 2025-2026წწ“;
5. აკადემიის პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
6. აკადემიის ვებგვერდი - https://bdc-academy.ge

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.

აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „შინაგანაწესი“ არეგულირებს მხარეთა ძირითად უფლებებსა და ვალდებულებებს, შრომის განაწესს, დისციპლინური პასუხისმგებლობის წესსა და წახალისების მექანიზმებს, რომელიც არ არის წინააღმდეგობაში კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 6 იანვრის N2 ბრძანებით დამტკიცებულია „ადამიანური რესურსების მართვის დებულება“, სადაც განსაზღვრულია ადამიანური რესურსების მართვის მიზნები და ამოცანები, მიდგომები აკადემიის ადამიანური რესურსის შერჩევისას და შრომითი ხელშეკრულების გაფორმებისას.

დაწესებულებას პერსონალთან გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც მოიცავს არსებით პირობებს, მათ შორის განსაზღვრულია ზეგანაკვეთურად მუშაობის ანაზღაურების საკითხები, რაც შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.

2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით

აკადემია პერსონალის მოზიდვისთვის იყენებს შიდა და გარე წყაროებს. პერსონალის მოზიდვის შიდა წყაროა აკადემიაში დასაქმებულთა პირადი კონტაქტები. პერსონალის მოზიდვის გარე წყაროა: აკადემიის პარტნიორების რეკომენდაცია, ვაკანსიების საჯაროდ განთავსება სხვადასხვა პორტალზე. ზემოაღნიშნული დარეგულირებულია დაწესებულების დირექტორის დირექტორის 2025 წლის 6 იანვრის N 2 ბრძანებით დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის დებულებით“. აკადემიის მიერ განსაზრვრული მექანიზმები იძლევა შესაძლებლობას პერსონალის აყვანისას დაცულ იქნეს დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპები.

პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია სამუშაო აღწერილობებში, რომელიც ხელმოწერილია აკადემიის დირექტორისა და დასაქმებულთა მიერ.

აკადემიაში პერსონალის აყვანისას ჯერ არ მოყენებულა საკონკურსო წარმოება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.2 დაკმაყოფილებულია, პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას

ექსპერტთა ჯგუფის მიერ სრულად გადამოწმდა აკადემიის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, მათ შორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელისა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები. პერსონალის კვალიფიკაცია, ცოდნა-უნარები და გამოცდილება შესაბამისობაშია დაწესებულების მიერ თითოეული საშტატო ერთეულისათვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს დაწესებულების ძირითადი და დამხმარე პროცესების მართვას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.3 დაკმაყოფილებულია, პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას

4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

დაწესებულებაში ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამონაწილეობით და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაც დასტურდება - აკადემიის სამოქმედო გეგმების შემუშავებისათვის დაწესებულების დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მუშაობით, ასევე პერსონალთან ინტერვიურებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „შინაგანაწესი“;
2. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 6 იანვრის N 2 ბრძანებით დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის დებულება“;
3. პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
4. აკადემიის ვებგვერდი - https://bdc-academy.ge

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას

აკადემიის დირექტორის 2025 წლის 6 იანვრის N2 ბრძანებით დამტკიცებულია „ადამიანური რესურსების მართვის დებულება“, რის მიხედვითაც პერსონალის შეფასების მიზანია, პერსონალის შემდგომი პროფესიული განვითარება, აგრეთვე აკადემიის საგანმანათლებლო საქმიანობის/სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებისთვის - პერსონალის ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრა. პერსონალის შეფასების სისტემა გულისხმობს ხარისხობრივ და რაოდენობრივ შეფასებას. პერსონალის შეფასება განხორციელდება წინასწარ შემუშავებული კითხვარებით: ადმინისტრაციული პერსონალის მიერ შევსებული კითხვარი; პროფესიული მასწავლებლების მიერ შევსებული კითხვარი; პროფესიული სტუდენტების მიერ შევსებული კითხვარი; კურსდამთავრებულების მიერ შევსებული კითხვარი; დამსაქმებლების მიერ შევსებული კითხვარი. პერსონალის კითხვარებით შეფასება განხორციელდება წელიწადში ერთხელ სამოქმედო გეგმის შესაბამისად. პერსონალის კითხვარებით შეფასების პროცესს და მიღებული მონაცემების დაჯამებას განახორციელებს ადამიანური რესურსების მენეჯერი და წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს.

პროფესიული მასწავლებლების შეფასება ასევე მოხდება საგაკვეთილო პროცესზე დასწრებით მოდულის დასრულებამდე არანაკლებ ერთხელ. სასწავლო პროცესის მენეჯერი და ადამიანური რესურსების მენეჯერი დაესწრება საგაკვეთილო პროცესს, შეაფასებს პროფესიულ მასწავლებელს და მონაცემებს წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს. მონაცემების ანალიზს განახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. მიღებული შედეგების ანალიზი/ანგარიში ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ წარედგინება დირექტორს განსახილველად, შემდგომი ღონისძიებების/აქტივობების დასადგენად. პერსონალის შეფასება შეიძლება განხორციელდეს აკადემიის დირექტორის მიერ. შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება: პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის; პერსონალის კარიერული განვითარებისათვის; პერსონალის წახალისებისათვის; პერსონალის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გატარებისათვის.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პერსონალის შეფასების ფორმები. აკადემიაში შემუშავებულია პერსონალის საჭიროებათა და კმაყოფილების კვლევის კითხვარები, თუმცა გამოკითხვა და პერსონალის საქმიანობის შეფასება აკადემიაში ჯერ არ განხორციელებულა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პსდ განახორციელებს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით
დაწესებულებაში პერსონალის განვითარება დაგეგმილია წლიური სამოქმედო გეგმით, კერძოდ 1.3 სტრატეგიული მიზანია - ადამიანური რესურსების განვითარება, ხოლო დაგეგმილი აქტივობაა პერსონალის და მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს პერსონალის განვითარების კონკრეტული აქტივობების გეგმა-გრაფიკი, რომელიც ასევე დაეყრდნობა დაწესებულების პერსონალის საჭიროებების კვლევის შედეგებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს პერსონალის განვითარების კონკრეტული აქტივობების გეგმა-გრაფიკი, რომელიც ასევე დაეყრდნობა დაწესებულების პერსონალის საჭიროებების კვლევის შედეგებს.*

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით
აკადემიის დირექტორის 2025 წლის 6 იანვრის N 2 ბრძანებით დამტკიცებულია „ადამიანური რესურსების მართვის დებულება“. პერსონალის შეფასების მიზანია, პერსონალის შემდგომი პროფესიული განვითარება, აგრეთვე აკადემიის საგანმანათლებლო საქმიანობის/სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებისთვის - პერსონალის ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრა. პერსონალის შეფასების სისტემა გულისხმობს ხარისხობრივ და რაოდენობრივ შეფასებას. პერსონალის შეფასება განხორციელდება წინასწარ შემუშავებული კითხვარებით: პროფესიული მასწავლებლების მიერ შევსებული კითხვარი; პროფესიული სტუდენტების მიერ შევსებული კითხვარი; კურსდამთავრებულების მიერ შევსებული კითხვარი; დამსაქმებლების მიერ შევსებული კითხვარი. პერსონალის კითხვარებით შეფასება ხდება წელიწადში ერთხელ სამოქმედო გეგმის შესაბამისად. პერსონალის კითხვარებით შეფასების პროცესს და მიღებული მონაცემების დაჯამებას განახორციელებს ადამიანური რესურსების მენეჯერი და წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს.

პროფესიული მასწავლებლების შეფასება ასევე მოხდება საგაკვეთილო პროცესზე დასწრებით მოდულის დასრულებამდე მინიმუმ ერთხელ. სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი და ადამიანური რესურსების მენეჯერი დაესწრება საგაკვეთილო პროცესს, აფასებს პროფესიულ მასწავლებელს და მონაცემებს წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს. მონაცემების ანალიზს განახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. მიღებული შედეგების ანალიზი/ანგარიში ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ წარედგინება დირექტორს განსახილველად, შემდგომი ღონისძიებების/აქტივობების დასადგენად. პერსონალის შეფასება შეიძლება განხორციელდეს აკადემიის დირექტორის მიერ. შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება: პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის; პერსონალის კარიერული განვითარებისათვის; პერსონალის წახალისებისათვის; პერსონალის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გატარებისათვის.

აკადემიაში პერსონალის საქმიანობის შეფასება ჯერ არ განხორციელებულა, შესაბამისად არ დამდგარა კარიერული წინსვლისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობის საჭიროება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით

4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

აკადემიის დირექტორის 2025 წლის 6 იანვრის N 2 ბრძანებით დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის დებულების“ მე-15 მუხლის თანახმად, აკადემია ხელს უწყობს ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან, ასევე კოლეგებთან ინტეგრაციასა და მათ სამუშაო პროცესში ეფექტურად ჩართვას. საქმისწარმოების და ადამიანური რესურსების მენეჯერი ხელს უწყობს ახალი თანამშრომლის ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან და კოლეგებთან. საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი ახალ თანამშრომელს გააცნობს ვებ-გვერდს და უზრუნველყოფს მის ჩართვას აკადემიის შიდა არსებულ სოციალურ ქსელებსა და ჯგუფებში. უშუალო ხელმძღვანელი/მენეჯერი უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლის ფუნქცია-მოვალეობიდან გამომდინარე მასთან შემხებლობაში მყოფი მარეგულირებელი დოკუმენტების გაცნობას, რომლებიც განსაზღვრავს მისი შემდგომი მუშაობის ვალდებულებებს და პირობებს.

პერსონალთან ინტერვიურებისას მათ აღნიშნეს აკადემიის პერსონალის ხელშეწყობა და მხარდაჭერა, რამაც ხელი შეუწყო მათ ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

აკადემიის დირექტორის 2025 წლის 6 იანვრის N2 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესის 28-ე მუხლი არეგულირებს პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმებს, რის მიხედვითაც სავალდებულო სწავლებების გარდა, პროფესიული განათლების ხელშეწყობის მიზნით, დასაქმებულს უფლება აქვს საკუთარი ინიციატივით მიმართოს დამსაქმებელს სწავლებებში ჩართვის თხოვნით, თუ სწავლება დამსაქმებლის მიერ არის ორგანიზებული ან/და ჩართვაში ხელშეწყობის თხოვნით, თუ სწავლება სხვა პირის მიერ არის ორგანიზებული.

პერსონალთან ინტერვიურებისას დადგინდა, რომ შესაძლებლობის ფარგლებში დაწესებულება ახორციელებს პერსონალის ინიციატივების წახალისებას. აღნიშნულის დასტურად დასახელებულ იქნა ცალკეული პერსონალის გადამზადება მათ მიერ ინიცირებული მიმართულებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 6 იანვრის N 2 ბრძანებით დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის დებულება“;
2. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 15 იანვრის N9 ბრძანებით დამტკიცებული შვიდწლიანი სტრატეგიულ გეგმა;
3. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 15 იანვრის N9 ბრძანებით დამტკიცებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
4. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 6 იანვრის N2 ბრძანებით დამტკიცებული „შინაგანაწესი“;
5. პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
6. აკადემიის ვებგვერდი - https://bdc-academy.ge

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.

დაწესებულება ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზირი N189-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მესამე სართულზე სარგებლობის უფლებით ფლობს 610,33 $მ^2$ ფართს (ფართის სამისამართო მონაცემები - ზონა: თბილისი, სექტორი: დიდუბე, საკადასტრო კოდი: 01.13.07.023.053.01.507). აკადემიის მიერ წარმოდგენილი ორი იჯარის ხელშეკრულება დადებულია 2025 წლის 08 აპრილს და სარგებლობის ვადად განსაზღვრულია 7 წელი (2032 წლის 01 აპრილი). დაწესებულების ავტორიზაციის ხანგძლივობით იჯარის ხელშეკრულებებში ფართის სარგებლობის ვადის ცვლილება განხორციელდა აკადემიაში ექსპერტთა ვიზიტამდე (საჯარო რეესტრში რეგისტრაციის პროცესი დაიწყო 2025 წლის 24 ივნისს). ხელშეკრულებები რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. ინფრასტრუქტურა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და ინტერიერი აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

აკადემიაში მოწყობილია შემდეგი სახის სივრცეები:

1. თეორიული სწავლების აუდიტორია/ები;
2. კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორია;
3. ლაბორატორიები (ქიმიური, ფარმაციის);
4. ადმინისტრაციული სივრცე;
5. სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის;
6. სამუშაო სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის;
7. სანიტარიული კვანძი/ები, მათ შორის ადაპტირებული შშმ პირთათვის;
8. ბიბლიოთეკა/სამკითხველო დარბაზი.

დაწესებულების სასწავლო და სამუშაო სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკითა და მატერიალური რესურსით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია უძრავი და მოძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები, უძრავი და მოძრავი ქონების ნუსხა, თუმცა დაწესებულება ინვენტარიზაციას არ ახორციელებს, შემუშავებული არ აქვს ძირითადი საშუალებებისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ინვენტარიზაციის წესი.

აკადემიის დირექტორის 2025 წლის 10 იანვრის N6 ბრძანებით დამტკიცებულია „მატერიალური რესურსების გამოყენების წესი", რის მიხედვითაც განსაზღვრულია აკადემიის სასწავლო მასალით უზრუნველყოფის, მატერიალური რესურსით უზრუნველყოფის, საკანცელარიო საქონლითა და სასწავლო მასალებით უზრუნველყოფისა და რესურსების შეფასების პროცედურები. აკადემიის სარგებლობასა და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსის აღრიცხვას, შენახვას და გამოყენების პროცესის მართვას, ასევე მასალა-ნედლეულისა და ინვენტარის შესყიდვას ახორციელებს ფინანსური და მატერიალური რესურსების მენეჯერი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემიის პერსონალის ჩართულობით, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა დაწესებულებაში არსებული ინფრასტრუქტურა, შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტები და გაესაუბრა უფლებამოსილ პირებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს „ძირითადი საშუალებებისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ინვენტარიზაციის წესი“ და გამოიყენოს პრაქტიკაში.*

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის

აკადემიას პროფესიული სტუდენტები ჯერ არ ჰყავს. თუმცა, აკადემიის დირექტორის 2025 წლის 10 იანვრის N6 ბრძანებით დამტკიცებულია „მატერიალური რესურსების გამოყენების წესი”, რის მიხედვითაც განსაზღვრულია აკდემიის მატერიალური რესურსების მართვის პროცედურა, მათ შორის გაწერილია ინვენტარისა და აღჭურვილობის საჭიროების იდენტიფიცირების მიდგომები და პროცესზე პასუხისმგებელი საშტატო ერთეულები, დარეგულირებულია აკადემიის მატერიალური რესურსებით სარგებლობის საკითხები.

დაწესებულების ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომი იქნება პროფესიული სტუდენტებისათვის.

რადგან აკადემიას ჯერ პროფესიული სტუდენტები არ ჰყავს, აკადემიის სასწავლო და დამხმარე რესურსით სარგებლობის შესაძლებლობა დადასტურებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომი იქნება პროფესიული სტუდენტებისთვის.

3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
აკადემიის დირექტორის 2025 წლის 6 იანვრის N2 ბრძანებით დამტკიცებულია დოკუმენტი - „თანამდებობრივი პოზიციების ფუნქცია-მოვალეობები“, რომლითაც განსაზღვრულია დაწესებულების ტერიტორიაზე, შიდა და გარე სივრცეების დასუფთავებაზე პასუხისმგებელი პირი და მისი ფუნქცია-მოვალეობები. აკადემიაში სისუფთავის და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების პირობების დაცვაზე პასუხისმგებელი პირია დამლაგებელი.

აკადემიის შესაბამის სივრცეებში განთავსებულია სადეზინფექციო ხსნარები, ხოლო სველი წერტილები აღჭურვილია ჰიგიენური საშუალებებით და აქვთ წყალმომარაგება, რაც დასტურდება ჰიგინური საშუალებების შესყიდვის დოკუმენტაციით და ექსპერტების მიერ შენობის დათვალიერების შედეგებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემიაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა აგრეთვე დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის ვიზუალური დათვალიერებითა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით
დაწესებულების სარგებლობაში არსებული ფართი აღჭურვილია ცენტრალური გათბობის სისტემით. ცენტრალური გათბობის სისტემის გამართული ფუნქციონირების დასტურად წარმოდგენილია კომუნალური გადასახადების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები. აკადემიაში გათბობის სისტემის არსებობა დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის ვიზუალური დათვალიერებითა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.4 დაკმაყოფილებული, დაწესებულების შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით

5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
აკადემიას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც სერტიფიცირებულია შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად და მას აქვს ვადიანი სერტიფიკატი. დაწესებულებაში დირექტორის 2025 წლის 27 ივნისის N00000039 ბრძანებით დამტკიცებულია შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა და პროცედურები, ასევე რისკების დონის მართვის მეთოდოლოგია. აკადემიაში კანონმდებლობით დადგენილ ვადებში (6 თვეში ერთხელ) ხორციელდება რისკების შეფასება. პერსონალს უტარდება ინსტრუქტაჟი კანონმდებლობით დადგენილ თემატიკაზე, რის დასტურადაც წარმოდგენილია ინსტრუქტაჟის აღწერა და პერსონალის ხელმოწერა, რისკების მართვის დოკუმენტი და შესაბამისი დასკვნები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები.

6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები
აკადემიის დირექტორის 2025 წელის 10 იანვრის N6 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების რეგულაცია“, რის მიხედვითაც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ რესურსზე პასუხისმგებელი პირია ფინანსური და მატერიალური რესურსების მენეჯერი. ადმინისტრაციის თანამშრომელს და პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების მასწავლებელს საქმიანობისათვის ან/და სწავლებისათვის აუცილებელ მატერიალურ რესურსებს შესაბამის მიღება-ჩაბარების ან სხვა წერილობითი აქტით გადასცემს ფინანსური და მატერიალური რესურსების მენეჯერი, რომელიც პასუხისმგებელია გადაცემული მატერიალური რესურსების მიზნობრივად, დანიშნულებისამებრ გამოყენებასა და მის სწორ ექსპლოატაციაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

აკადემიაში სასწავლო პროცესი საჭირო მასალებითა და ნედლულით შეუფერხებლად იქნება უზრუნველყოფილი, დანერგილი სისტემა ეფექტურად მოქმედებს, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მათ შორის მასალა-ნედლეულის მოთხოვნის, შეყიდვისა და მიწოდების დოკუმენტები. რადგან აკადემიას ჯერ პროფესიული სტუდენტი არ ჰყავს, ზემოაღნიშნული მექანიზმები გამოყენებულია სასერტიფიკატო პროგრამების განხორციელების ფარგლებში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.6 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები.

7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას

აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმები“, არეგულირებს დაწესებულების ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის, პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების, დამსაქმებელთა კვლევების ჩატარების მეთოდოლოგიას. პერსონალის კმაყოფილების კვლევის ასპექტებია: აკადემიის ინფრასტრუქტურა; მატერიალურ ტექნიკური რესურსები; მართვის სტილი/პროცესებში ჩართულობა; პერსონალის მართვა, წახალისების მექანიზმები, პერსონალის განვითარებაზე ზრუნვა); სამუშაოთი ზოგადი კმაყოფილება. პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ასპექტებია: აკადემიის ინფრასტრუქტურა; მატერიალურ ტექნიკური რესურსები; საბიბლიოთეკო რესურსები; მართვის სტილი; სასწავლო პროცესის ორგანიზება; აკადემიაში მიმდინარე პროცესებში ჩართულობა; კარიერული და პროფესიული დასაქმების ხელშეწყობა; სპორტული, შემოქმედებითი და კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა და სხვ.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია კმაყოფილებისა და პროცესების შეფასების ფორმები და კითხვარები. ჯერ პროცესი არ განხორციელებულა, რადგან აკადემიას პროფესიული სტუდენტები არ ჰყავს, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის მიერ უკვე გაცემულია რეკომენდაციები ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ამოქმედების მიზნებისათვის, მათ შორის მატერიალურ-რესურსების შეფასების ნაწილში, მეოთხე სტანდარტის შეფასებისას.

დაწესებულების მფლობელობაში არებული რესურსების ვიზუალური დათვალიერებითა და ფლობის დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს ფაქტს, რომ აკადემიას გააჩნია საკმარისი რესურსი სრულფასოვნად განახორციელოს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.

8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

აკადემიის მფლობელობაში არსებულ შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, მოწესრიგებულია და უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობა, რაც ხელმისაწვდომიაყველა პირისთვის. დაწესებულებაში არსებული სველი წერტილი ადაპტირებულია შშმ პირებისათვის.

თითოეულ სველ წერტილთან განთავსებულია ჰიგიენის საშუალებები, ხელსაშრობი დისპანსერი, ასევე ნარჩენების უკონტაქტო კალათა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.

9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;

დაწესებულების მფლობელობაში არსებულ სასწავლო და ადმინისტრაციულ ფართს, მოსასვენებელ სივრცესა და ბიბლიოთეკას აქვს, როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. აკადემიაში ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი უზრუნველყოფილია ბიბლიოთეკის სივრცეში. საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტები უფლებამოსილნი არიან გაიტანონ წიგნი ან ისარგებლონ აკადემიის საბიბლიოთეკო სივრცით როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული რესურსებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.9 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.

10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას

აკადემიის მფლობელობაში არსებულ შენობაში არის ფოიე. სასწავლო აუდიტორიები და სხვა სივრცეები დამოუკიდებელია ერთმანეთისაგან. ადმინისტრაციის სამუშაო სივრცეები და სასწავლო აუდიტორიები გადანაწილებულია ისე, რომ ხელი არ შეეშალოს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების წარმართვას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.10 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად

აკადემიის დირექტორის 2025 წელი 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებულია „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“, რომელშიც გაწერილია საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობისა და საბიბლიოთეკო რესურსებით პროფესიული განათლების მასწავლებლების/პროფესიული სტუდენტების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქცია-მოვალეობები. აკადემიაში საბიბლიოთეკო მომსახურებას ახორციელებს ბიბლიოთეკარი და კვალიფიციური კონსულტანტი, რომელიც დაწესებულებას მოწვეული ჰყავს ხელშეკრულებით (06.06.2025, ხელშეკრულების N07/01). აღნიშნულის თაობაზე გამოცემულია აკადემიის დირექტორის 2025 წლის 06 ივნისის N24 ბრძანება - „საბიბლიოთეკო საქმიანობის კონსულტანტად მოწვევის შესახებ“. აკადემიის ბიბლიოთეკარი ახლა გადის ტრენინგ კურსს საბიბლიოთეკო საქმეში.

დაწესებულებაში განსაზღვრულია ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი, რეგისტრაციის წესები, მკითხველის ვალდებულებები საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობისა და სამკითხველო დარბაზში ქცევის წესები. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე, ხოლო სასწავლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. საგანმანათლებლო რესურსებით სარგებლობის გარდა, აკადემიის საბიბლიოთეკო სერვისი ასევე მოიცავს ასლის გადაღებას და კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობას.

საგანმანათლებლო რესურსები არსებობს მატერიალური და ელექტრონული სახით. წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და აკადემიის წარმომადგენელთან გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ დაწესებულების საბიბლიოთეკო რესურსების შესახებ ინფორმაცია სისტემატიზებულია, საჭირო რესურსის მოძიება შესაძლებელია ეფექტურად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.11 დაკმაყოფილებულია. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):
1. უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულებები;
2. შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზები;
3. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
4. აკადემიის დირექტორის 2025 წელის 10 იანვრის N6 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების რეგულაცია“;
5. აკადემიის დირექტორის 2025 წელი 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“;
6. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 06 ივნისის N24 ბრძანება - „საბიბლიოთეკო საქმიანობის კონსულტანტად მოწვევის შესახებ“ და მასთან გაფორმებული ხელშეკრულება;
7. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმები“;
8. მატერიალური რესურსების ნუსხა და ფლობის დოკუმენტები, კომუნალური ხარჯების გადახდის დოკუმენტები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

9. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 6 იანვრის N2 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტის - „თანამდებობრივი პოზიციების ფუნქცია-მოვალეობები“;
10. დირექტორის 2025 წლის 10 იანვრის N 6 ბრძანებით დამტკიცებულია “მატერიალური რესურსების გამოყენების წესი”;
11. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
12. აკადემიის ვებგვერდი - https://bdc-academy.ge

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;

აკადემიის მიერ წარმოდგენილია შპს „მშენ-ექსპერტი+“ - ის ექსპერტიზის დასკვნა და ინსპექტირების ანგარიში, რის მიხედვითაც ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი N189-ში მდებარე სამსართულიანი შენობის, მათ შორის მესამე სართულის (ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის ფართი) ვიზუალურ-ტექნიკური და ინსტრუმენტალური გამოკვლევის შედეგად დადგენილლია, რომ შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, ვარგისია უსაფრთხო ექსპლოატაციისთვის და ეძლევა დადებითი შეფასება.

აკადემიის მიერ წარმოდგენილია შპს „სახანძრო ექსპერტიზის ბიუროს“ ანგარიში „არსებული ობიექტის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება სახანძრო უსაფრთხოების ნაწილში“. დასკვნა დადებითია, შენობა-ნაგებობა აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები

2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

აკადემიის ბაზაზე მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 10 იანვრის N6 ბრძანებით დამტკიცებულია „პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმი”, რომელიც არეგულირებს უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმებს, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესებს. აკადემიას ჰყავს შესაბამისი სამედიცინო განათლების მქონე პირველადი გადაუდებელი დახმარების სპეციალისტი და დაწესებულებაში გახსნილია ინციდენტების აღრიცხვის ჟურნალი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი

აკადემიის დირექტორის 2025 წლის 10 იანვრის N8 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა“. შექმნილია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების შტაბი და განაწილებულია ფუნქციები წევრებს შორის. აკადემიამ 2025 წლის 25 თებერვალში მიმართა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებასთან დაკავშირებით, თუმცა, ჯერჯერობით აღნიშნულ საკითხზე დადებითი უკუკავშირი წარმოდგენილი არ არის. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 27 თებერვლის N15 ბრძანებით დამტკიცებულია „შესაბამისობის გეგმა“, რომლის მეორე პუნქტით განსაზღვრულია აქტივობა - „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება კომპეტენტურ ორგანოსთან/პირთან და დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ“. დაწესებულებას აქტივობების შესრულებისთვის განსაზღვრული აქვს ვადა 2025 წლის 28 აგვისტო, რაც ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით რელევანტურია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.3 მეტწილადაა დაკმაყოფილებული. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი არ არის შეთანხმებული კომპეტენტურ ორგანოსთან. *აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, აკადემიის დირექტორის 2025 წლის 27 თებერვლის N15 ბრძანებით დამტკიცებულია „შესაბამისობის გეგმა“, რომლის მეორე პუნქტით განსაზღვრულია აქტივობა - „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება კომპეტენტურ ორგანოსთან/პირთან და დამტკიცება დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ“. დაწესებულებას აქტივობის შესრულებისთვის განსაზღვრული აქვს ვადა 2025 წლის 28 აგვისტო, რაც ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით რელევანტურია.*

4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას

დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ, მის მფლობელობაში არსებულ ფართზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას. შენობა-ნაგებობის მთლიან შიდა (გარდა ადმინისტრაციული და სასწავლო კაბინეტებისა, სანიტარული კვანძებისა და დამხმარე სათავსოებისა) და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი კამერები, ფუნქციონირებს ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა. იმ სივრცეებში, სადაც მიმდინარეობს ვიდეოთვალთვალი, განთავსებულია გამაფრთხილებელი ნიშნები. აკადემიის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ევალება ფინანსური და მატერიალური რესურსების მენეჯერს, რის თაობაზეც გამოცემული აკადემიის დირექტორის 2025 წლის 17 მარტის N 16 ბრძანება - ფინანსური და მატერიალური რესურსების მენეჯერისთვის დაცვის საკითხების დავალების შესახებ, მათ შორის დაწესებულების დაცვის ღონისძიებების განხორციელება და შენობა-ნაგებობის მთლიანი შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული უსაფრთხოების კამერების კონტროლი. ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას დადასტურდა დასაქმებულის მიერ ზემოაღნიშნული მოვალეობების შესრულების ფაქტი.

აკადემიის დირექტორის 2025 წლის 6 იანვრის N2 ბრძანებით დამტკიცებული “შინაგანაწესის” 26-ე და 27-ე მუხლები არეგულირებს დაწესებულებაში შრომის უსაფრთხოების დაცვას, ქცევისა და თამბაქოს მოხმარების წესებს. აღნიშნული დებულებები კანონმდებლობასთან შესაბამისია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. შპს „მშენ-ექსპერტი+“ - ის ექსპერტიზის დასკვნა და ინსპექტირების ანგარიში;
2. შპს „სახანძრო ექსპერტიზის ბიუროს“ ანგარიში „არსებული ობიექტის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება სახანძრო უსაფრთხოების ნაწილში“;
3. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 10 იანვრის N6 ბრძანებით დამტკიცებული „პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმი”;
4. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 10 იანვრის N8 ბრძანებით დამტკიცებული „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა“;
5. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 25 თებერვლის წერილი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებასთან დაკავშირებით;
6. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 27 თებერვლის N15 ბრძანებით დამტკიცებული „შესაბამისობის გეგმა“;
7. უსაფრთხოებასა და პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელი პირის პირადი საქმე;
8. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პირადი საქმე;
9. დაწესებულებაში შრომის უსაფრთხოების მართვის დოკუმენტები, შევსებული რისკების მართვის ფორმები, ინსტრუქტაჟების ჟურნალები, ინსტრუქტაჟების მასალები;
10. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 6 იანვრის N2 ბრძანებით დამტკიცებული “შინაგანაწესი”;
11. აკადემიის პროფესიულ პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
12. აკადემიის ვებგვერდი - https://bdc-academy.ge

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს

1. დაწესებულების კომპიუტერული ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა და ადმინისტრაციის ოთახები აღჭურვილია ქსელში ჩართული კომპიუტერებით. დაწესებულებას აქვს საკმარისი რაოდენობის კომპიუტერები, გამართული IT ტექნიკა და ინტერნეტი.

აკადემიის დირექტორის 2025 წლის 29 მაისის N23 ბრძანებით დამტკიცებულია „IT (ინფორმაციის ტექნოლოგიები) რისკებისა და ეფექტიანობის მართვის მექანიზმები“. აკადემიაში IT ინფრასტრუქტურის მართვაზე პასუხისმგებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელსაც აკადემიის დირექტორის 2025 წლის 17 მარტის N17 ბრძანებით დავალებული აქვს აკადემიის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მართვის პროცედურების განხორციელება.

აკადემიაში დასაქმებული პერსონალის და მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით, აკადემია აღჭურვილია შესაბამისი პარამეტრების მქონე კომპიუტერებით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის და ადმინისტრაციული მუშაობის შეუფერხებლად წარმართვას. აკადემია უზრუნველყოფილია უსადენო ინტერნეტ მომსახურებით, რასაც ადასტურებს ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულება და ადგილზე ინტერნტ მომსახურებით ფაქტობრივად სარგებლობის შედეგები.

აკადემიას წარმოდგენილი აქვს კომპანიასთან - შპს „ათომი“ 2025 წლის 01 იანვარს გაფორმებული ხელშეკრულება ჰოტინგისა და დომენის მომსახურების შესახებ. ხელშეკრულება არის ერთწლიანი ავტომატური გაგრძელების პირობით, სანამ ერთ-ერთი მხარე არ გამოთქვამს სურვილს ხელშეკრულების შეწყვეტაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს.

2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას

აკადემიის დირექტორის 2025 წლის 29 მაისის N23 ბრძანებით დამტკიცებულია „IT (ინფორმაციის ტექნოლოგიები) რისკებისა და ეფექტიანობის მართვის მექანიზმები“, რომლის მიხედვითაც აკადემია ახორციელებს IT რისკების იდენტიფიცირებას, რისკების შეფასებას იმის მიხედვით, თუ რა შედეგები მოყვება მათ აკადემიის ფუნქციონირებასთან მიმართებაში, რისკების დადგომის ალბათობას და მათ შესაძლო შედეგებს, უზრუნველყოფს რისკების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში ჩართული დაინტერესებული პირების ინფორმირებას რისკების მართვის შესახებ, რისკების მართვის პროცესის მონიტორინგსა და განხილვას, რისკების მართვისადმი მიდგომის გაუმჯობესების მიზნით საჭირო ინფორმაციის შეგროვებას და სხვ.

ზემოაღნიშნულის დასტურად წარმოდგენილია აკადემიის ინფროამციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მართვაზე პასუხისმგებელი პირის ანგარიში „ინფორმაციული ტექნოლოგიების შეფასებისა და IT რისკების მართვის შედეგების“ შესახებ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას

აკადემიის დირექტორის 2025 წლის 10 იანვრის N6 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი“. პერსონალური მონაცემები აკადემიის მიერ მუშავდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის შესაბამისად. აკადემია ამუშავებს ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლების მონაცემებს და დაამუშავებს პროფესიული სტუდენტების პერსონალურ მონაცემებს. პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება თითოეულ სტრუქტურულ ერთეულს საკუთარი საქმიანობის ფარგლებში. პერსონალური მონაცემების დამუშავებამდე აკადემია ვალდებულია მოიპოვოს სუბიექტის თანხმობა, რომელიც განსაზღვრულია პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებით.

დაწესებულებაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციას ასრულებს დაწესებულების შრომის უსაფრთხოების მენეჯერი, რომელსაც გავლილი აქვს შესაბამისი ტრენინგი, წარმოდგენილია შესაბამისი სერტიფიკატი. წარმოდგენილია აკადემიის დირექტორის 2025 წლის 20 თებერვლის N13 ბრძანება აკადემიის შრომის უსაფრთხოების მენეჯერისათვის პერსონალური მონაცემების დაცვის სპეციალისტის მოვალეობების დაკისრების შესახებ.

დირექტორის 2025 წელის 10 იანვრის N6 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის“ მე-10 მუხლი განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს. რეგულაციაში ჩანაწერის მიხედვით, პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე აკადემიაში პასუხისმგებელია: ფინანსური და მატერიალური რესურსების მენეჯერი, საქმისმწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულებაში სხვა სტრუქტურული ერთეულებიც ჩართულნი არიან პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესში საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, ამიტომ რეკომენდებულია ყველა შესაბამისი სტრუქტურული ერთეული იდენტიფიცირდეს მათზე დელეგირებული უფლება-მოვალეობების მიხედვით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში არსებობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები და ჰყავს პასუხიმგებელი პირი, *თუმცა, რეკომენდებულია დაწესებულებამ სრულფასოვნად განსაზღვროს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირები და მათზე დელეგირებული მოვალეობები, რელევანტურად განსაზღვროს პერსონალურ მონაცემთა შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული საფუძვლები და აკადემიაში დამუშავებას დაქვემდებარებული პერსონალური მონაცემების სახეები.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას

აკადემია სისტემატიურად ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების მონიტორინგს, რაც გულისხმობს, როგორც მათ ტექნიკურ შეფასებას, საჭიროების შემთხვევაში შეუსაბამობების აღმოფხვრას, ისე პროგრამულ უზრუნველყოფას. აღნიშნული დარეგულირებულია აკადემიის დირექტორის 2025 წლის 10 იანვრის N6 ბრძანებით დამტკიცებული "მატერიალური რესურსების გამოყენების წესი".

დაწესებულების მფლობელობაში არებული IT რესურსების ვიზუალური დათვალიერებითა და ფლობის დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს ფაქტს, რომ აკადემიას გააჩნია საკმარისი რესურსი სრულფასოვნად განახორციელოს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.4 დამაყოფილებულია, პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას.

5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება

აკადემიის დირექტორის 2025 წლის 10 იანვრის N6 ბრძანებით დამტკიცებულია "მატერიალური რესურსების გამოყენების წესი", რომელიც ადგენს მატერიალური რესურსების, მათ შორის IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობას აკადემიის სუბიექტებისთვის. კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობა დასაშვებია სასწავლო და სამუშაო მიზნებისთვის შეუზღუდავად. დაწესებულებაში შესაძლებელია ინტერნეტის სარგებლობა, მათ შორის არის უკაბელო ინტერნეტი (Wi-Fi).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების სუბიექტებისთვის მუდმივად ხელმისაწვდომია დაწესებულების IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება.

6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომუნიკაციის მიზნით, აკადემია იყენებს ელექტრონულ ფოსტას. დაწესებულებაში ფუნქციონირებს ისეთი ელექტრონული სერვისები როგორებიცაა: დოკუმენტაციის ბრუნვის ელექტრონული სისტემა („eflow"), სოციალური გვერდი და აკადემიის ვებგვერდი. შესაბამისად, დაწესებულებას გააჩნია და იყენებს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირების ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმს/სისტემას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.6 დაკმაყოფილებულია. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 29 მაისის N23 ბრძანებით დამტკიცებული „IT (ინფორმაციის ტექნოლოგიები) რისკებისა და ეფექტიანობის მართვის მექანიზმები“;
2. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 17 მარტის N17 ბრძანება აკადემიის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მართვის პროცედურების განხორციელების შესახებ;
3. აკადემიის დირექტორის 2025 წელის 10 იანვრის N6 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი“;
4. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 20 თებერვლის N13 ბრძანება აკადემიის შრომის უსაფრთხოების მენეჯერისათვის პერსონალური მონაცემების დაცვის სპეციალისტის მოვალეობების დაკისრების შესახებ;
5. აკადემიის პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
6. აკადემიის სოციალური ქსელი და ვებგვერდი - https://bdc-academy.ge

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

აკადემიის დირექტორის 2025 წლის 6 იანვრის N1 ბრძანებით დამტკიცებულია „საქმისწარმოების წესი“. აკადემიაში საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირია საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი. საქმისწარმოების ერთიანი ინსტრუქცია ადგენს აკადემიაში დოკუმენტური ინფორმაციის დასამუშავებლად საჭირო პირობებს, კორესპონდენციის რეგისტრაციის, დოკუმენტაციის აღრიცხვის, რეგისტრირებული კორესპონდენციის განხილვის და გასული კორესპონდენციის რეგისტრაციის წესებს, აკადემიაში არსებული დოკუმენტების სახეებს, მათი რეგისტრაციისა და ინდექსირების წესებს, არქივის ფუნქციონირების მექანიზმებს.

აკადემიაში მოქმედი საქმისწარმოების ერთიანი წესი შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს და თანხვედრაშია საქმისწარმოების ერთიან ინსტრუქციასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი

2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის

დაწესებულება მართვაში იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს მათ შორის - ვებგვერდი, სოციალური გვერდი, სატელეფონო კავშირი. აკადემიაში საქმისწარმოების მიზნით არსებობს ელექტრონული სისტემას - "eflow", სადაც აღირიცხება შემოსული და გასული კორესპოდენცია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში დანერგილია ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა.

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას

აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები", რომელიც განსაზღვრავს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის ასახვის საკითხებს, რომელიც შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. აკადემია ავტორიზაციის გავლის შემდგეგ მოიპოვებს უფლებას აწარმოოს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. მიმდინარე ეტაპზე დაწესებულებაში მოქმდებს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ნაწილი, სადაც დაწესებულებას ასახული აქვს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას.

4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

აკადემიის დირექტორის 2025 წლის 6 იანვრის N1 ბრძანებით დამტკიცებულია „საქმისწარმოების წესი". განსაზღვრულია ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპონდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურა. აკადემიაში დოკუმენტების შესრულებასა და დროულ რეაგირებაზე პასუხისმგებელია საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი. აკადემიის სტრუქტურული ერთეულები ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ ინფორმაციის დროულ მიწოდებასა და გავრცელებას საკუთარი საქმიანობის მიხედვით.

ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა მიღებული/გაგზავნილი ბოლო კორესპონდენცია, რომლის შედეგებიც სრულად შეესაბამება აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნებს. შესაბამისად, აკადემია უზრუნველყოფს სხვადასხვა უწყებებთან სწორი და დროული კომუნიკაციის განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით შემოწმდა აკადემიის მიერ მიღებული და გაცემული კორესპოდენცია, რითაც დადასტურდა დაწესებულების მიერ კორესპოდენციის შესრულების ვადების დაცვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 6 იანვრის N1 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესი“.;
2. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები“;
3. საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა “eflow”;
4. დაწესებულების მიერ მიღებული და გაცემული კორესპოდენცია, სარეგისტრაციო ჟურნალები;
5. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.
6. დაწესებულების სოციალური ქსელი და ვებგვერდი - https://bdc-academy.ge

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

აკადემიის დირექტორის 2025 წლის 10 იანვრის N6 ბრძანებით დამტკიცებულია „საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი“, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესებს, ასევე უზრუნველყოფს აკადემიაში გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებას და ეფექტურობას როგორც შიდა, ისე გარე კომუნიკაციებში. აკადემიას აქვს ოფიციალური ვებგვერდი და ფეისბუქის სოციალური ქსელის გვერდი, ორივე სახის გვერდზე განთავსებულია დაწესებულების ძირითადი საკონტაქტო ინფორმაცია. სოციალური ქსელი იძლევა აკადემიასთან ინტერნეტ კომუნიკაციის საშუალებას. სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია სხვადასხვა სახის ვიზუალური და ტექსტური კონტენტი, ინფორმაცია მნიშვნელოვანი სიახლეების შესახებ. აკადემიის ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების, სტრუქტურის, მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებების, საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. მომხმარებლებისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით, განთავსებულია ახალი ამბები, დაწესებულების შინაგანაწესი, სტრატეგიული გეგმა, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სხვადასხვა აქტები და სხვ.

შესაბამისად, აკადემიის ვებ და სოციალური ქსელის გვერდები არის გამოყენებული, ვებგვერდზე ნავიგაცია მარტივია და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია მთავარ გვერდზეა ხელმისაწვდომი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს.

2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს მხოლოდ ქართულ ენაზე. თუმცა, აკადემიის მისიასა და დასახელებაში განსაზღვრული აქვს საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი - კერძოდ ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის მისიაა მოამზადოს საერთაშორისო სტანდარტებისა და თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი მრავალპროფილური, კვალიფიციური, ინტელექტუალური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტები. შესაბამისად, აკადემიას აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდი, რომელზეც ახორციელებს სწავლებას, თუმცა რეკომენდებულია შექმნას უცხოენოვანი ვებგვერდი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.1 დაკმაყოფილებულია. დაწესებულებას აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდი, რომელზეც ახორციელებს სწავლებას, *თუმცა, ვინაიდან აკადემიის მისიასა და დასახელებაში განსაზღვრული აქვს საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი - კერძოდ ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის მისიაა მოამზადოს საერთაშორისო სტანდარტებისა და თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი მრავალპროფილური, კვალიფიციური, ინტელექტუალური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რეკომენდებულია შექმნას უცხოენოვანი ვებგვერდი.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას

აკადემიის დირექტორის 2025 წლის 10 იანვრის N6 ბრძანებით დამტკიცებულია „საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი“, რომელიც განსაზღვრავს დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის მიწოდების მექანიზმებს. აკადემიის თანამშრომლები შიდა და გარე კომუნიკაციას ახორციელებენ საკუთარი საქმიანობის ფარგლებში. ხოლო, ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში შემოსულ შეკითხვებზე პასუხის გაცემის და საჭიროების შემთხვევაში, გადამისამართების უფლებამოსილება აქვს პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს, რომელიც ასევე პასუხისმგებელია სოციალურ ქსელსა და ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსების უზრუნველყოფაზე. ვებგვერდზე განთავსებულია აკადემიის მიერ განხორციელებული ყველა საქმიანობა, ასევე ინფორმაცია იმ მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, რომელთა განხორციელების უფლებაც აქვს მოპოვებული.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ

აკადემიის ვებგვერდზე განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომელიც ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. თუმცა, აკადემიას არ აქვს შემუშავებული კატალოგი, რომელიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის გარდა მოიცავს ინფორმაციას დაწესებულებისთვის საქმიანობის, პარტნიორების, მიღწევების, სერვისების და სხვათა შესახებ, რაც საინტერესო და საყურადღებო იქნება დაინტერესებულ პირებისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.4 დაკმაყოფილებულია. დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ, *თუმცა მას არ აქვს კატალოგის სახე, ამიტომ რეკომენდებულია აკადემიამ შეიმუშაოს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის გარდა, მოიცავს ინფორმაციას დაწესებულებისთვის საქმიანობის, პარტნიორების, მიღწევების, სერვისების და სხვათა შესახებ, რაც საინტერესო და საყურადღებო იქნება დაინტერესებულ პირებისათვის.*

5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად

აკადემია ახლა გადის პირველადი ავტორიზაციის პროცესს. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის შინაარსთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ უკვე გაცემულია რეკომენდაცია 5.2.3.4 ინდიკატორის შეფასებისას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.5 დაკმაყოფილებულია. პროგრამების კატალოგი განახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.

6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დაწესებულების მიერ ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად გამოიყენება სხვადასხვა სახის საკომუნიკაციო არხები. აკადემიის საკომუნიკაციო არხებიდან, ოფიციალური სოციალური ქსელიდან, ელექტრონული ფორმის გამოკითხვებიდან, მეილებიდან შემოსულ ინფორმაციაზე საჭიროების შემთხვევაში, ხდება სათანადო რეაგირება.

ზემოთ ჩამოთვლილი სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის შედეგად მიღებული უკუკავშირი მუშავდება აკადემიის ადმინისტრაციის მიერ, მოვალეობების შესაბამისად და გამოიყენება დაწესებულების საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

ყოველივე ზემოაღნიშნული დადასტურდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალთან ინტერვიურებისას და მათ მიერ წარმოდგენილი წლიური საქმიანობის ანგარიში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.6 დაკმაყოფილებულია, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 10 იანვრის N6 ბრძანებით დამტკიცებული „საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი“;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც განთავსებულია აკადემიის ვებგვერდზე;
3. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
4. დაწესებულების სოციალური ქსელი და ვებგვერდი - https://bdc-academy.ge

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
აკადემიის ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი კალენდარული წლის დასაწყისში განსაზღვრავს დაწესებულების საპროგნოზო შემოსავლებსა და ხარჯებს, ხოლო სამეურნეო წლის დასრულებისას ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების ანალიზს და ინფორმაციას წარუდგენს აკადემიის დირექტორს.

აკადემიის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით განხორციელებული აქტივობები უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსით, რაც დასტურდება აკადემიის მიერ წარმოდგენილი მოგება-ზარალის უწყისებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება

2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით
დაწესებულების მიერ წარმოდგენილია 2023 წლის მოგება-ზარალის და ბრუვათა უწყისები, ცალკეული სამეურნეო ოპერაციების განხორციელების ფინანსური ტრანზაქციის განხორციელების თაობაზე სისტემიდან ამოღებული ინფორმაცია, რის საფუძველზეც ირკვევა, რომ აკადემია ახორციელებს მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო საოპერაციო ხარჯების დაფინანსებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას

დაწესებულება ყოველწლიურად ადგენს ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტს და ახორციელებს ფინანსური აღრიცხვასა და ანგარიშგებას კანონმდებლობით დადგენილი წესით, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაო სააღრიცხვო პოლიტიკა, ასევე განსაზღვრაოს საბიუჯეტო დაგეგმვის, მათ შორს საგანმანათლებლო პროგრამების საპროგნოზო და ფაქტობრივი ბიუჯეტების შემუშავებისა და ანგარიშგების პროცედურები, რაც დაეხმარებათ ფინანსური პროცესების ეფექტიან მართვაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაო სააღრიცხვო პოლიტიკა, ასევე განსაზღვროს საბიუჯეტო დაგეგმვის, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამების საპროგნოზო და ფაქტობრივი ბიუჯეტების შემუშავებისა და ანგარიშგების პროცედურები, რაც დაეხმარებათ ფინანსური პროცესების ეფექტიან მართვაში.*

4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე

დაწესებულება ყოველწლიურად ახორციელებს დაწესებულების საბიუჯეტო დაგეგმვას, რომელსაც იხილავს აკადემიის დირექტორთან. მოცემული ანალიზის შესაბამისად ახორციელებს მომდევნო წლის ბიუჯეტების შემუშავებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების მოგება-ზარალის და ბრუნვათა უწყისი;
2. დაწესებულების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
3. საოპერაციო ხარჯების განხორციელების დოკუმენტები, ინვოისები, საგადახდო დოკუმენტები;
4. დაწესებულების პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში; Secondary Vocational Qualification in Computer Network and Systems;
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის დირექტორის 2025 წლის 27 თებერვლის ბრძანება N15
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული ენა
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი N189
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	---
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	48
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	---
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	--
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება ხორციელდება აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმებით", რომლის მიხედვით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა და შემუშავება ხორციელდება სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელიც ახდენს საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

აკადემიის მისიის მიხედვით, დაწესებულება უფლებამოსილია განახორციელოს სხვადასხვა მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამები, შესაბამისად ექსპერტთა შეფასებით, აკადემიის გადაწყვეტილება განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** შეესაბამება დაწესებულების მისიას.

აკადემიის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები ითვალისწინებს დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება.

აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმებით”, დარეგულირებულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წინაპირობები, ჩარიცხვის ეტაპები, აპლიკანტთა რეგისტაციის პირობები, აპლიკანტთა შერჩევის პროცედურები საშუალო/უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აკადემიაში ჩარიცხვის მიდგომები, აპელაციის წესი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის პროცედურა და შესაბამისი კომისიის შექმნისა და მუშაობის პრინციპები, ზემოაღნიშნული წესი შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობებით“ განსაზღვრულ დებულებებთან.

აკადემიას ჯერ პროფესიული სტუდენტები არ ჰყავს, ამიტომ ზემოაღნიშნული მექანიზმების პრაქტიკაში რეალიზება არ განხორციელებულა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
აკადემიის დირექტორის 2025 წლის 08 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომელიც არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების განსაზღვრის მექანიზმებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების მიზნებისათვის. აკადემიის მიერ ზღვრული ადგილების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რაოდენობის დასაბუთების რეგულაცია ითვალისწინებს A, B, C სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობას, მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობას, დაწესებულებასა და პრაქტიკის ობიექტების გამტარუნარიანობას, პერსონალის რაოდენობას.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებას აქვს შესაბამისი რესურსი სრულფასოვნად განახორციელოს **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ორ ცვლაში 48 პროფესიული სტუდენტის მიღებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** განსაზღვრული აღჭურვილობა და სასწავლო რესურსები ემთხვევა საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისი დანართებით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო ჩანაწერებს. შესაბამისად, პროგრამის განსახორციელებლად დაგეგმილი მატერიალური და სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** მოცულობაა 87 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 7, ხოლო პროფესიული მოდულების საერთო მოცულობაა - 80 კრედიტი. პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.
მოდულების ქართული ენა A2 (15 კრედიტი) და ქართული ენა B1 (15კრედიტი) გავლა სავალდებულოა იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებისთვისაც სწავლა იწყება ქართული ენის მოდულებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევითი მოდულებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება ხორციელდება აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმებით". აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებასა და ცვლილებების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი არის აკადემიის დირექტორი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები"** დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2025 წლის 27 თებერვლის N15 ბრძანებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

აკადემიის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სახელწოდება **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები"** თანხვედრაშია **კომპიუტერული ქსელი და სისტემების** საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ დასახელებასთან, შესაბამისად ასრულებს იდენტიფიკატორის როლს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები"** ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგების მიღწევების დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის. პროგრამას დანართების სახით ახლავს: სავალდებულო ზოგადი მოდულები, სავალდებულო პროფესიული მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია მატერიალური რესურსისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების შესახებ, ხოლო სწავლების მეთოდოლოგია და შეფასების მიმართულებები მოცემულია შესაბამის მოდულებში. სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა არ აღემატება შრომის კოდექსით დასაშვებ კვირეულ დატვირთვას.

პროგრამა ითვალისწინებს მოდულების - ქართული ენა A2 და B1 სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმების" მე-17 მუხლი განსაზღვრავს შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზების საკითხებს. შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულია საკვალიფიკაციო გამოცდის დაგეგმვისა და ადმინისტრირების პროცედურები, საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობის განსაზღვრისა და მუშაობის პრინციპები, საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების აპელაციის პროცედურა და განმეორებითი შეფასების ორგანიზების თავისებურებები, შეფასებების მტკიცებულებების სახეები.

ვინაიდან აკადემიას ჯერ პროფესიული სტუდენტები არ ჰყავს, შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდები არ ჩატარებულა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები";
2. აკადემიის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
3. აკადემიის მისია, ხედვა და ღირებულებები;
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები"** და მისი დანართები;
5. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 27 თებერვლის N15 ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები"** დამტკიცების შესახებ;
6. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 08 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია";
7. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 27 ივნისის N43 ბრძანებით დამტკიცებული აკადემიის „სასწავლო ფართის განაწილების სქემა და დასაბუთება";
8. აკადემიის პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
9. აკადემიის ვებგვერდი - https://bdc-academy.ge

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** განხორციელდება აკადემიის ბაზაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აკადემიის მფლობელობაში საგანმანათლებლო პროგრამის **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი. ვიზუალური დათვალიერებისას, დასტურდება რომ პროგრამით გათვალისწინებული ზოგადი მოდულებისა და პროფესიული მოდულების სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

აკადემიას პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილი აქვს ორი AB/BC გარემო (აუდიტორია N5 და N19), თითოეულ ოთახში განთავსებულია 12-12 კომპიუტერი. ერთ ცვლაში ერთდროულად აკადემია უზრუნველყოფს 24 პროფესიული სტუდენტის, ხოლო ორ ცვლაში 48 პროფესიული სტუდენტის შეუფერხებელ სწავლებას. სასწავლო გარემოები აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები) და ყველა საჭირო რესურსით, რაც განსაზღვრულია პროგრამის მოდულების აღჭურვილობის ნუსხით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** განსაზღვრული ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 6 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ხოლო პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 6 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ჯამში **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** პროგრამისთვის მოიაზრება 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ ცდება საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, თუმცა რეკომენდებულია აკადემიამ შეიმუშავოს პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის სქემა, სადაც მოდულით განსაზღვრული საკონტაქტო საათების გარდა, გათვალისწინებული იქნება ისეთი აქტივობები, როგორიცაა: სასწავლო პროცესისათვის მომზადება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების ჩატარება, სტუდენტთა კონსულტირება, სამუშაო ჯგუფებსა და კომისიების მუშაობაში ჩართულობა, ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშავოს პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის სქემა, სადაც მოდულით განსაზღვრული საკონტაქტო საათების გარდა, გათვალისწინებული იქნება ისეთი აქტივობები, როგორიცაა: სასწავლო პროცესისათვის მომზადება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების ჩატარება, სტუდენტთა კონსულტირება, სამუშაო ჯგუფებსა და კომისიების მუშაობაში ჩართულობა, ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვა.*

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** განხორციელებაში ჩართულ პერსონალს დარგობრივი კომპეტენცია უდასტურდება პროფესიული კვალიფიკაციით და სამუშაო გამოცდილებით. პერსონალს გავლილი აქვს ტრენინგები პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისა და შეფასების საკითხებზე.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას დადგინდა, რომ ზოგადი და პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ კომპეტენცია, როგორც პროფესიული, ისე სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** ჰყავს დაწესებულების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელსაც აქვთ როგორც სწავლების, ასევე IT სფეროში მუშაობის გამოცდილება. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროგრამის ხელმძღვანელს, რომელმაც სრულფასოვნად აღწერა პროგრამის სტრუქტურა და მისი განხორციელების ხედვა. პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და ფლობს ინფორმაციას სასწავლო პროცესისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის თაობაზე, რაც დადგინდა პერსონალთან ინტერვიურებისას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** ხელმძღვანელი ასევე ჩართულია პროფესიული მოდულების განოხრციელების პროცესში, როგორც პროფესიული განათლების მასწავლებელი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც ჩართულია პროფესიული მოდულების განხორციელების პროცესში.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია, როგორც ელექტრონული, ისე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულია სსსმ პირთათვის შესაძლებლობის მიცემა, რომ მათ ჰქონდეთ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო რესურსებთან და საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მოხდეს მათი ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. მარეგულირებელ დოკუმენტში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (მათ შორის სსსმ პირთათვის) შემუშავების პროცედურა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, შშმ/სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო მასალის ადაპტირება (მოდიფიკაცია, აკომოდაცია), ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის დახმარებით წარმოადგენს პროფესიულ განათლების მასწავლებლის მოვალეობას შესაბამისი სპეციალისტის ჩართულობით.

დაწესებულებას შშმ პროფესიული სტუდენტი არ ჰყოლია და მსგავსი გამოცდილებაც არ გააჩნია. აკადემიას არ ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალიტი, თუმცა, რეგულაციით განსაზღვრულია, რომ შესაბამისი საჭიროების დადგომისთანავე დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის/ასისტენტის სასწავლო პროცესში ჩართულობას.

აკადემიის ბიბლიოთეკის წარმომადგენელმა ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ დაწესებულებას არ ჰყოლია ინდივიდუალური საჭიროების მქონე მსმენელი, თუმცა ასეთი პირის ჩარიცხვის შემთხვევაში ბიბლიოთეკა მზადაა მოემსახუროს და გაუწიოს მისთვის საჭირო სერვისი, მათ შორის: გაზრდილი შრიფტით სასწავლო მასალის ამობეჭდვა, ადაპტირებული სასწავლო მასალის შექმნის ორგანიზება და სხვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** განხორციელებისათვის წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლებსა და ხარჯებს. სწორადაა განსაზღვრული რენტაბელობის ზღვარი, რაც დაწესებულებამ ექსპერტთა მსჯელობის შემდეგ დაარედაქტირა. დაწესებულებას ჯერ პროგრამა არ განუხორციელება, ამიტომ ჯერ შუალედური ან დაზუსტებული ბიუჯეტი არ შემუშავებულა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები";
2. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 27 თებერვლის N15 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** და მისი დანართები;
3. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 08 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია";
4. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 27 ივნისის N43 ბრძანებით დამტკიცებული აკადემიის „სასწავლო ფართის განაწილების სქემა და დასაბუთება";

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

5. პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელთა პირადი საქმეები;
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;
7. დაწესებულების მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტები;
8. დაწესებულების მატერიალური რესურსის დათვალიერების შედეგები;
9. აკადემიის პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
10. აკადემიის ვებგვერდი - https://bdc-academy.ge

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი და „ხარისხის უზრუნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმები“. შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში პროცესები გაწერილია PDCA პრინციპით, რომელიც ითვალისწინებს, როგორც ძირითადი, ისე დამხმარე პროცესების შეფასებას. ძირითადი პროცესი აკადემიაში არის სასწავლო პროცესი. აკადემიაში ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ამოცანაა ადმინისტრაციის, პროფესიული მასწავლებლების, პროფესიული სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მუშაობის ხელშეწყობა. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ჩაატარებს სასწავლო პროცესის და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგს, განახორციელებს სწავლა-სწავლების და პროფესიულ სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების პროცესის მონიტორინგს, შეამოწმებს სასწავლო პროცესში ჩართული პირების სწავლისა და სწავლების დონის ამაღლების მიზნით შესრულებულ სამუშაოს და სასწავლო პროცესში ჩართული ადამიანური რესურსის მუშაობის ხარისხს, შეამოწმებს სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით: საგანმანათლებლო პროგრამებს, პროგრამის კომპონენტებს, სასწავლო პროცესს, აკადემიის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბიბლიოთეკო ფონდის და მოდულებში მითითებული ძირითადი ლიტერატურის შესაბამისობას, შეამოწმებს შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში გაწერილია კვლევის მეთოდები, კვლევის ინსტრუმენტები, კვლევის სამიზნე ჯგუფები, შედეგების ანალიზის შემუშავებისა და განხილვის პროცესები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი.

ვინაიდან აკადემიას ჯერ პროფესიული სტუდენტები არ ჰყავს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მექანიზმები ჯერ არ ამოქმედებულა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად
დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგები, რომელიც დაეყდნობა პროფესიული მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემურ შეგროვებას, დამუშავებასა და ანალიზს, წარმოადგენს პროგრამის მოდიფიცირება/ადაპტირების საფუძველს.

საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ფარგლებში წინასწარ განსაზღვრული ფორმის მეშვეობით განხორციელდება პერსონალის სწავლების შეფასება ლექციებზე დასწრების საშუალებით, რაც ემსახურება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. მონიტორინგის მაჩვენებლების გამოყენებით განხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და განვითარება.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში გაწერილია კვლევის მეთოდები, კვლევის ინსტრუმენტები, კვლევის სამიზნე ჯგუფები, შედეგების ანალიზის შემუშავებისა და განხილვის პროცესები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი.

აკადემიას ჯერ პროფესიული სტუდენტები არ ყავს, შესაბამისად ზემოაღნიშნული მექანიზმები პრაქტიკაში არ განხორციელებულა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას გააჩნია პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების მექანიზმები და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმები“;
2. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები”;
3. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 27 თებერვლის N15 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** და მისი დანართები;
4. აკადემიის პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
5. აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** განხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. პროგრამის მოდულები ერთმანეთთან დაკავშირებულია ლოგიკურად. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელების ჩართულობით შეადგენს სასწავლო ცხრილს, უზრუნველყოფს მის გამართულად ფუნქციონირებას და წარმართვას. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროგრამის ხელმძღვანელს, დაისვა კითხვები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** სასწავლო გეგმით განაწილებული მოდულების თანმიმდევრობასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტების, ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრების შედეგების შეფასებით, დაწესებულება სასწავლო პროცესის ორგანიზებისას გაითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებს და მოქნილად უზრუნველყოფს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე.

აკადემიის სასწავლო პროცესის მენეჯერი პროგრამის ხელმძღვანელებთან და სხვა ჩართულ პირებთან ერთად პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით განახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერას, პროფესიულ სტუდენტებს საშუალება ექნებათ ნებისმიერი საჭირობის შესახებ ადმინისტრაციას მიმართონ და მათგან უკუკავშირიც მყისიერად მიიღონ.

სასწავლო პროცესში პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები გაწერილია აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმებში.”

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ამისათვის პროგრამის მოდულებში მითითებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები, აკადემიაში არსებობს შესაბამისი დარგის ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემოები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებისას გაანალიზებულ იქნა სტანდარტით შემოთავაზებული მეთოდები, მასწავლებელთა მიღებული გამოცდილება და მათი რეკომენდაციით განხორციელდა მოდულთა ადაპტირება სწავლებისა და შეფასების ნაწილში. პროფესიული განათლების მასწავლებლებს გავლილი აქვთ ტრენინგები სწავლებისა და შეფასების საკითხებზე და ასევე, აფიქსირებენ მზაობას სწავლებას მეთოდებისა და კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები
აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმებით" განსაზღვრულია სწავლის შედეგების მიღწევისას პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების საკითხები. კერძოდ, სწავლის შედეგების მიღწევის მიზნებისათვის რეგულაცია ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას, როგორც სსსმ და შშმ პირთათვის, ისე ნებისმიერი პროფესიული სტუდენტისათვის, რომელიც სასწავლო პროცესს ვერ გააგრძელებს სტანდარტული სასწავლო გეგმით.

ვინაიდან დაწესებულებას ჯერ პროფესიული სტუდენტები არ ჰყავთ, მოცემული მექანიზმების პრაქტიკაში რეალიზების შესაძლებლობა არ ყოფილა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები"** განხორციელდება ადგილზე, აკადემიის ბაზაზე მოწყობილ AB და BC სასწავლო გარემოში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება არ საჭიროებს პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთანთანამშრომლობას.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები"** განხორციელებისთვის შემუშავებულია უსაფრთხოების სტანდარტული ნორმები. პროფესიული უსაფრთხოების ნორმების უზრუნველსაყოფად აუდიტორიაში გამოკრულია ინსტრუქცია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები";

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 27 თებერვლის N15 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** და მისი დანართები;
3. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 08 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
4. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 27 ივნისის N43 ბრძანებით დამტკიცებული აკადემიის „სასწავლო ფართის განაწილების სქემა და დასაბუთება“;
5. პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელთა პირადი საქმეები;
6. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
7. დაწესებულების მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტები;
8. დაწესებულების მატერიალური რესურსის დათვალიერების შედეგები;
9. აკადემიის პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
10. აკადემიის ვებგვერდი - https://bdc-academy.ge

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები” არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასებას, სადაც მოცემულია ინფორმაცია შეფასების, განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესების შესახებ. ზემოაღნიშნული წესი არეგულირებს, შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვისა და განკარგვის, ასევე საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესს.

აკადემიის რეგულაციის მიხედვით, განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი მოდულში/სწავლის შედეგში მითითებული შეფასების მიმართულების ფარგლებში და შესაბამისი სწავლის შედეგ(ებ)ის თემატიკაზე დაყრდნობით; მოდულის განხორციელების დაწყებამდე პროფესიული განათლების მასწავლებელი, სასწავლო პროცესის მენეჯერს წარუდგენს მოდულის შესაბამისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტს და ხდება წარდგენილი შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური/ფორმალური შემოწმება. სასწავლო პროცესის მენეჯერი, თავის მხრივ უზრუნველყოფს ინსტრუმენტის ვალიდაციას, ვალიდაციის პროცესში ჩართულები იქნებიან დარგის სპეციალისტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები", ასევე აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმები", რომელიც არეგულირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის საკითხებს. ზემოაღნიშNული არ არის წინააღმდეგობაში კანონმდებლობით განსაზღვრულ ნორმებთან.

ვინაიდან აკადემიას ჯერ პროფესიული სტუდენტები არ ჰყავს, მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენების საკითხები ვერ შეფასდა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. კერძოდ: აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმების" მე-12 მუხლის მიხედვით, შეფასების მტკიცებულებები შეინახება პროფესიული სტუდენტის კვალიფიკაციის მინიჭებამდე, სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და შეინახება არანაკლებ 3 წლის ვადით.
ვინაიდან აკადემიას ჯერ პროფესიული სტუდენტები არ ჰყავს, მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენების საკითხები ვერ შეფასდა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმების" მიხედვით გათვალისწინებულია სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების გამოყენება. რეგულაციაში გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება მათ შეფასებასთან დაკავშირებით, ასევე, შედეგების საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებლებისაგან დამატებითი კონსულტაციების მიღების შესაძლებლობა.

ინტერვიურებით დადასტურდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა მხრიდან სტუდენტთა მხარდაჭერა და შეფასების შედეგების გამოყენება მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები";
2. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმები";
3. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს შედეგები;
4. აკადემიის ვებგვერდი - https://bdc-academy.ge

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

III. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში / Higher Vocational Qualification in Accounting
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის დირექტორის 2025 წლის 27 თებერვლის ბრძანება N15
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული ენა
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი N189
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	--
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	48
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	---
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	--
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129

IV. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
აკადემიის დირექტორის 2025 წლის 08 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომელიც არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების განსაზღვრის მექანიზმებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების მიზნებისათვის. აკადემიის მიერ ზღვრული ადგილების რაოდენობის დასაბუთების რეგულაცია ითვალისწინებს A, B, C სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობას, მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობას, დაწესებულებასა და პრაქტიკის ობიექტების გამტარუნარიანობას, პერსონალის რაოდენობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებას აქვს შესაბამისი რესურსი სრულფასოვნად განახორციელოს **„საექთნო განათლება“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ორ ცვლაში 144 პროფესიული სტუდენტის მიღებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - **„საექთნო განათლება“** განსაზღვრული აღჭურვილობა და სასწავლო რესურსები ემთხვევა საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისი დანართებით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო ჩანაწერებს. შესაბამისად, პროგრამის განსახორციელებლად დაგეგმილი მატერიალური და სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„საექთნო განათლება“** მოცულობაა 180 კრედიტი. ზოგად მოდულთა კრედიტების რაოდენობა შეადგენს 9 კრედიტს, ხოლო პროფესიული მოდულების კრედიტების რაოდენობა კი 171. **საექთნო საქმეში** კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 180 კრედიტი. მოდულები კლასიფიცირებულია შემდეგნაირად: ზოგადი მოდულები - 9 კრედიტი; თეორიული სწავლება საბაზო მეცნიერებები - 24 კრედიტი; თეორიული სწავლება საექთნო საქმე - 45 კრედიტი; თეორიული სწავლება სოციალური მეცნიერებები - 6 კრედიტი; პრაქტიკული სწავლება - 6 კრედიტი; კლინიკური სწავლება - 90 კრედიტი.

მოდულების ქართული ენა A2 (15 კრედიტი) და ქართული ენა B1 (15კრედიტი) გავლა სავალდებულო იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებისთვისაც სწავლა იწყება ქართული ენის მოდულებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევითი მოდულებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება ხორციელდება აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმებით". აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებასა და ცვლილებების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი არის აკადემიის დირექტორი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„საექთნო განათლება"** დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის 2025 წლის 27 თებერვლის N15 ბრძანებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

აკადემიის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სახელწოდება **„საექთნო განათლება"** თანხვედრაშია **საექთნო განათლების** საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ დასახელებასთან, შესაბამისად ასრულებს იდენტიფიკატორის როლს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის - **„საექთნო განათლება"** ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგების მიღწევების დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის. პროგრამას დანართების სახით ახლავს: სავალდებულო ზოგადი მოდულები, სავალდებულო პროფესიული მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია მატერიალური რესურსისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების შესახებ, ხოლო სწავლების მეთოდოლოგია და შეფასების მიმართულებები მოცემულია შესაბამის მოდულებში. სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა არ აღემატება შრომის კოდექსით დასაშვებ კვირეულ დატვირთვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პროგრამა ითვალისწინებს მოდულების - ქართული ენა A2 და B1 სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია.

აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმების" მე-17 მუხლი განსაზღვრავს შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზების საკითხებს. შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულია საკვალიფიკაციო გამოცდის დაგეგმვისა და ადმინისტრირების პროცედურები, საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობის განსაზღვრისა და მუშაობის პრინციპები, საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების აპელაციის პროცედურა, განმეორებითი შეფასების ორგანიზების თავისებურებები და შეფასებების მტკიცებულებების სახეები.

ვინაიდან აკადემიას ჯერ პროფესიული სტუდენტები არ ჰყავს, შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდები არ ჩატარებულა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები";
2. აკადემიის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
3. აკადემიის მისია, ხედვა და ღირებულებები;
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„საექთნო განათლება"** და მისი დანართები;
5. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 27 თებერვლის N15 ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„საექთნო განათლება"** დამტკიცების შესახებ;
6. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 08 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია";
7. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 27 ივნისის N43 ბრძანებით დამტკიცებული აკადემიის „სასწავლო ფართის განაწილების სქემა და დასაბუთება";
8. აკადემიის პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
9. აკადემიის ვებგვერდი - https://bdc-academy.ge

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – **„საექთნო განათლება“** განხორციელდება აკადემიის და შემდეგი სამედიცინო დაწესებულებების ბაზაზე:

- **შპს „ქალაქ თბილისის წმინდა მიქაელის ჰოსპიტალი“**, ს/კ 202901832, მისამართი - ქ. თბილისი, გ. ჟვანიას ქ. N15, საქართველოს შრომის,ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ გაცემული, სანებართვო მოწმობა N000160, დაწესებულებასთან ხელშეკრულება გაფორმებულია 2025 წლის 22 თებერვალს, ხელშეკრულება ძალაშია 7 წლის ვადით. დაწესებულება ერთდროულად მიიღებს 48 პროფესიულ სტუდენტს, მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში ინსტრუქტორთა თანაფარდობა განსაზღვრულია 1/7;
- **შპს „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი საუნივერსიტეტო კლინიკა“**, ს/კ 211385767, მისამართი - ქ. თბილისი, წინანდლის ქ. N9; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ გაცემული, სანებართვო მოწმობა N000219, დაწესებულებასთან ხელშეკრულება გაფორმებულია 2025 წლის 26 თებერვალს, ხელშეკრულება ძალაშია 7 წლის ვადით. დაწესებულება ერთდროულად მიიღებს 48 პროფესიულ სტუდენტს, მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში ინსტრუქტორთა თანაფარდობა განსაზღვრულია 1/7;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- **ააიპ „კოალიცია შინმოვლა საქართველოში“,** ს/კ 205275879, მისამართი - ქ. თბილისი, ნუცუბიძის 187ა; დაწესებულებასთან ხელშეკრულება გაფორმებულია 2025 წლის 26 თებერვალს, ხელშეკრულება ძალაშია 4 წლის ვადით. დაწესებულება ერთდროულად მიიღებს 53 პროფესიულ სტუდენტს, მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში განსაზღვრულია პრაქტიკის ობიექტზე პროფესიული პროგრამის ორი მოდულის - შინმოვლა და ავადმოვა განხორციელება.
- **შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა ცენტრი“,** ს/კ 209446900, მიქამართი - ქ. თბილისი იპოლიტოვ ივანოვის ქ. N8. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ გაცემული, სანებართვო მოწმობა N000693, დაწესებულებასთან ხელშეკრულება გაფორმებულია 2025 წლის 22 თებერვალს, ხელშეკრულება ძალაშია 7 წლის ვადით. დაწესებულება ერთდროულად მიიღებს 48 პროფესიულ სტუდენტს, მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში ინსტრუქტორთა თანაფარდობა განსაზღვრულია 1/7;
- **შპს „ აკადემიკოს ო.ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი“**, ს/კ 202193544, მისამართი - ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. N66/ბოხუას ქ. N12; საქართველოს შრომის,ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ გაცემული, სანებართვო მოწმობა N000765, დაწესებულებასთან ხელშეკრულება გაფორმებულია 2025 წლის 27 თებერვალს, ხელშეკრულება ძალაშია 7 წლის ვადით. დაწესებულება ერთდროულად მიიღებს 53 პროფესიულ სტუდენტს, მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში ინსტრუქტორთა თანაფარდობა განსაზღვრულია 1/7;

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აკადემიის მფლობელობაში საგანმანათლებლო პროგრამის **„საექთნო განათლება“** განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი. ვიზუალური დათვალიერებისას, დასტურდება რომ პროგრამით გათვალისწინებული ზოგადი მოდულებისა და პროფესიული მოდულების სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და კლინიკების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

აკადემიას პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილი აქვს:

- A გარემო (პირველადი გადაუდებელი სამედიდიცინო დახმარების სწავლებისთვის AC გარემო) (აუდიტორია N12), რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, მასალა-ნედლეულითა და თვალსაჩინოებებით, გათვლილია ერთდროულად 24 პროფესიული სტუდენტისთვის;
- AB გარემო (აუდიტორია N 15), რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით, გათვლილია ერთდროულად 12 პროფესიული სტუდენტისთვის;

ერთ ცვლაში ერთდროულად აკადემია უზრუნველყოფს 36 პროფესიული სტუდენტის, ხოლო ორ ცვლაში 72 პროფესიული სტუდენტის შეუფერხებელ სწავლებას, თუმცა დაწესებულებას მოთხოვნილი აქვს 144 პროფესიული სტუდენტის მიღება სამ წელიწადში, თითო წელს 48 პროფესიული სტუდენტის მიღებით. პროგრამის თავისებურების გათვალისწინებით მეორე და მესამე წელს მიმდინარეობს კლინიკური მოდულები პატრნიორ სამედიცინო დაწესებულებებში. სასწავლო გარემოები აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები) და ყველა საჭირო რესურსით, რაც განსაზღვრულია პროგრამის მოდულების აღჭურვილობის ნუსხით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - **„საექთნო განათლება“** განსაზღვრული ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 10 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ხოლო პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 17 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ჯამში **„საექთნო განათლება“** პროგრამისთვის მოიაზრება 27 პროფესიული განათლების მასწავლებელი.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ ცდება საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, თუმცა რეკომენდებულია აკადემიამ შეიმუშავოს პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის სქემა, სადაც მოდულით განსაზღვრული საკონტაქტო საათების გარდა, გათვალისწინებული იქნება ისეთი აქტივობები, როგორიცაა: სასწავლო პროცესისათვის მომზადება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების ჩატარება, სტუდენტთა კონსულტირება, სამუშაო ჯგუფებსა და კომისიების მუშაობაში ჩართულობა, ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშავოს პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის სქემა, სადაც მოდულით განსაზღვრული საკონტაქტო საათების გარდა, გათვალისწინებული იქნება ისეთი აქტივობები, როგორიცაა: სასწავლო პროცესისათვის მომზადება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების ჩატარება, სტუდენტთა კონსულტირება, სამუშაო ჯგუფებსა და კომისიების მუშაობაში ჩართულობა, ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვა.*

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„საექთნო განათლება“** განხორციელებაში ჩართულ პერსონალს დარგობრივი კომპეტენცია უდასტურდება პროფესიული კვალიფიკაციით და სამუშაო გამოცდილებით. პერსონალს გავლილი აქვს ტრენინგები პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისა და შეფასების საკითხებზე.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას დადგინდა, რომ ზოგადი და პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ კომპეტენცია, როგორც პროფესიული, ისე სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას - **„საექთნო განათლება“** ჰყავს დაწესებულების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს როგორც სწავლების, ასევე დარგში მუშაობის გამოცდილება. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროგრამის ხელმძღვანელს, რომელმაც სრულფასოვნად აღწერა პროგრამის სტრუქტურა და მისი განხორციელების ხედვა. პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და ფლობს ინფორმაციას სასწავლო პროცესისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის თაობაზე, რაც დადგინდა პერსონალთან ინტერვიურებისას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„საექთნო განათლება“** ხელმძღვანელი ასევე ჩართულია პროფესიული მოდულების განოხრციელების პროცესში, როგორც პროფესიული განათლების მასწავლებლები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც ჩართულია პროფესიული მოდულების განხორციელების პროცესში.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში - **„საექთნო განათლება“** მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია, როგორც ელექტრონული, ისე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულია სსსმ პირთათვის შესაძლებლობის მიცემა, რომ მათ ჰქონდეთ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო რესურსებთან და საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მოხდეს მათი ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. მარეგულირებელ დოკუმენტში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (მათ შორის სსსმ პირთათვის) შემუშავების პროცედურა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, შშმ/სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო მასალის ადაპტირება (მოდიფიკაცია, აკომოდაცია), ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის დახმარებით წარმოადგენს პროფესიულ განათლების მასწავლებლის მოვალეობას შესაბამისი სპეციალისტის ჩართულობით.

დაწესებულებას შშმ პროფესიული სტუდენტი არ ჰყოლია და მსგავსი გამოცდილებაც არ გააჩნია. აკადემიას არ ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალიტი, თუმცა, რეგულაციით განსაზღვრულია, რომ შესაბამისი საჭიროების დადგომისთანავე დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის/ასისტენტის სასწავლო პროცესში ჩართულობას.

აკადემიის ბიბლიოთეკის წარმომადგენელმა ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ დაწესებულებას არ ჰყოლია ინდივიდუალური საჭიროების მქონე მსმენელი, თუმცა ასეთი პირის ჩარიცხვის შემთხვევაში ბიბლიოთეკა მზადაა მოემსახუროს და გაუწიოს მისთვის საჭირო სერვისი, მათ შორის: გაზრდილი შრიფტით სასწავლო მასალის ამობეჭდვა, ადაპტირებული სასწავლო მასალის შექმნის ორგანიზება და სხვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„საექთნო განათლება“** განხორციელებისათვის წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლებსა და ხარჯებს. დაწესებულებას ჯერ პროგრამა არ განუხორციელებია, ამიტომ ჯერ შუალედური ან დაზუსტებული ბიუჯეტი არ შემუშავებულა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პრაქტიკის ობიექტთან - შპს „ქალაქ თბილისის წმინდა მიქაელის ჰოსპიტალი“ გაფორმებული ხელშეკრულება;
2. პრაქტიკის ობიექტთან - შპს „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი საუნივერსიტეტო კლინიკა“გაფორმებული ხელშეკრულება;
3. პრაქტიკის ობიექტთან - ააიპ „კოალიცია შინმოვლა საქართველოში“ გაფორმებული ხელშეკრულება;
4. პრაქტიკის ობიექტთან - შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა ცენტრი“ გაფორმებული ხელშეკრულება;
5. პრაქტიკის ობიექტთან - შპს „ აკადემიკოს ო.ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი“ გაფორმებული ხელშეკრულება;
6. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

7. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 27 თებერვლის N15 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„საექთნო განათლება“** და მისი დანართები;
8. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 08 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
9. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 27 ივნისის N43 ბრძანებით დამტკიცებული აკადემიის „სასწავლო ფართის განაწილების სქემა და დასაბუთება“;
10. პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელთა პირადი საქმეები;
11. დაწესებულების მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტები;
12. დაწესებულების მატერიალური რესურსის დათვალიერების შედეგები;
13. აკადემიის პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
14. აკადემიის ვებგვერდი - https://bdc-academy.ge

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი და „ხარისხის უზრუნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმები“. შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში პროცესები გაწერილია PDCA პრინციპით, რომელიც ითვალისწინებს, როგორც ძირითადი, ისე დამხმარე პროცესების შეფასებას. ძირითადი პროცესი აკადემიაში არის სასწავლო პროცესი. აკადემიაში ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ამოცანაა ადმინისტრაციის, პროფესიული მასწავლებლების, პროფესიული სტუდენტებისა და სხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაინტერესებული მხარეების მუშაობის ხელშეწყობა. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ჩაატარებს სასწავლო პროცესის და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგს, განახორციელებს სწავლა-სწავლების და პროფესიულ სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების პროცესის მონიტორინგს, შეამოწმებს სასწავლო პროცესში ჩართული პირების სწავლისა და სწავლების დონის ამაღლების მიზნით შესრულებულ სამუშაოს და სასწავლო პროცესში ჩართული ადამიანური რესურსის მუშაობის ხარისხს, შეამოწმებს სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით: საგანმანათლებლო პროგრამებს, პროგრამის კომპონენტებს, სასწავლო პროცესს, აკადემიის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, საბიბლიოთეკო ფონდის და მოდულებში მითითებული ძირითადი ლიტერატურის შესაბამისობას, შეამოწმებს შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში გაწერილია კვლევის მეთოდები, კვლევის ინსტრუმენტები, კვლევის სამიზნე ჯგუფები, შედეგების ანალიზის შემუშავებისა და განხილვის პროცესები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი.

ვინაიდან აკადემიას ჯერ პროფესიული სტუდენტები არ ჰყავს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მექანიზმები ჯერ არ ამოქმედებულა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგები, რომელიც დაეყდნობა პროფესიული მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემურ შეგროვებას, დამუშავებასა და ანალიზს, წარმოადგენს პროგრამის მოდიფიცირება/ადაპტირების საფუძველს. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ფარგლებში წინასწარ განსაზღვრული ფორმის მეშვეობით განხორციელდება პერსონალის სწავლების შეფასება ლექციებზე დასწრების საშუალებით, რაც ემსახურება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. მონიტორინგის მაჩვენებლების გამოყენებით განხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და განვითარება.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში გაწერილია კვლევის მეთოდები, კვლევის ინსტრუმენტები, კვლევის სამიზნე ჯგუფები, შედეგების ანალიზის შემუშავებისა და განხილვის პროცესები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი.

აკადემიას ჯერ პროფესიული სტუდენტები არ ყავს, შესაბამისად ზემოაღნიშნული მექანიზმები პრაქტიკაში არ განხორციელებულა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას გააჩნია პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების მექანიზმები და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმები“;
2. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები”;
3. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 27 თებერვლის N15 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„საექთნო განათლება“** და მისი დანართები;
4. აკადემიის პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
5. აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„საექთნო განათლება“** განხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. პროგრამის მოდულები ერთმენათთან დაკავშირებულია ლოგიკურად. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით შეადგენს სასწავლო ცხრილს, უზრუნველყოფს მის გამართულად ფუნქციონირებას და წარმართვას. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიული განათლების მასწავლებლებს, დაისვა კითხვები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„საექთნო განათლება“** სასწავლო გეგმით განაწილებული მოდულების თანმიმდევრობასთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტების, ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრების შედეგების შეფასებით დაწესებულება სასწავლო პროცესის ორგანიზებისას გაითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებს და მოქნილად უზრუნველყოფს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე.

აკადემიის სასწავლო პროცესის მენეჯერი პროგრამის ხელმძღვანელებთან და სხვა ჩართულ პირებთან ერთად პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით განახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერას, პროფესიულ სტუდენტებს საშუალება ექნებათ ნებისმიერი საჭირობის შესახებ ადმინისტრაციას მიმართონ და მათგან უკუკავშირსაც მყისიერად იღებენ.

სასწავლო პროცესში პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები გაწერილია აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმებში.”

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„საექთნო განათლება“** ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ამისათვის, პროგრამის მოდულებში მითითებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები, აკადემიაში არსებობს შესაბამისი დარგის ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემოები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებისას გაანალიზებულ იქნა სტანდარტით შემოთავაზებული მეთოდები, მასწავლებელთა მიღებული გამოცდილება და მათი რეკომენდაციით განხორციელდა მოდულთა ადაპტირება სწავლებისა და შეფასების ნაწილში. პროფესიული განათლების მასწავლებლებს გავლილი აქვთ ტრენინგები სწავლებისა და შეფასების საკითხებზე და ასევე, აფიქსირებენ მზაობას სწავლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები
აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმებით" განსაზღვრულია სწავლის შედეგების მიღწევისას პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების საკითხები. კერძოდ, სწავლის შედეგების მიღწევის მიზნებისათვის რეგულაცია ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას, როგორც სსსმ და შშმ პირთათვის, ისე ნებისმიერი პროფესიული სტუდენტისათვის, რომელიც სასწავლო პროცესს ვერ გააგრძელებს სტანდარტული სასწავლო გეგმით.

ვინაიდან დაწესებულებას ჯერ პროფესიული სტუდენტები არ ჰყავთ, მოცემული მექანიზმების პრაქტიკაში რეალიზების შესაძლებლობა არ ყოფილა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„საექთნო განათლება"** განხორციელდება როგორც ადგილზე, აკადემიის ბაზაზე მოწყობილ AB და AC სასწავლო გარემოში, ისე შემდეგი სამედიცინო დაწესებულებების ბაზაზე:

- **შპს „ქალაქ თბილისის წმინდა მიქაელის ჰოსპიტალი"**, ს/კ 202901832, მისამართი - ქ. თბილისი, გ. ჟვანიას ქ. N15, საქართველოს შრომის,ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ გაცემული, სანებართვო მოწმობა N000160, დაწესებულებასთან ხელშეკრულება გაფორმებულია 2025 წლის 22 თებერვალს, ხელშეკრულება ძალაშია 7 წლის ვადით. დაწესებულება ერთდროულად მიიღებს 48 პროფესიულ სტუდენტს, მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში ინსტრუქტორთა თანაფარდობა განსაზღვრულია 1/7;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კლინიკაში განხორციელდება შემდეგი მოდულები:

1. კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
2. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
3. კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
4. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
5. კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
6. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
7. კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
8. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
9. კლინიკური პრაქტიკა-სამეანოდა გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
10. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა.
11. კლინიკური პრაქტიკა -პედიატრია და მოზარდები
12. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები.

- **შპს „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი საუნივერსიტეტო კლინიკა“**, ს/კ 211385767, მისამართი - ქ. თბილისი, წინანდლის ქ. N9; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ გაცემული, სანებართვო მოწმობა N000219, დაწესებულებასთან ხელშეკრულება გაფორმებულია 2025 წლის 26 თებერვალს, ხელშეკრულება ძალაშია 7 წლის ვადით. დაწესებულება ერთდროულად მიიღებს 48 პროფესიულ სტუდენტს, მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში ინსტრუქტორთა თანაფარდობა განსაზღვრულია 1/7;

კლინიკაში განხორციელდება შემდეგი მოდულები:

1. კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
2. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
3. კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
4. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
5. კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
6. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
7. კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
8. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
9. კლინიკური პრაქტიკა-სამეანოდა გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
10. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

11. კლინიკური პრაქტიკა -პედიატრია და მოზარდები
12. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები.

- **ააიპ „კოალიცია შინმოვლა საქართველოში“,** ს/კ 205275879, მისამართი - ქ. თბილისი, ნუცუბიძის 187ა; დაწესებულებასთან ხელშეკრულება გაფორმებულია 2025 წლის 26 თებერვალს, ხელშეკრულება ძალაშია 4 წლის ვადით. დაწესებულება ერთდროულად მიიღებს 53 პროფესიულ სტუდენტს, მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში განსაზღვრულია პრაქტიკის ობიექტზე პროფესიული პროგრამის ორი მოდულის - შინმოვლა და ავადმოვა განხორციელება.

კლინიკაში განხორციელდება შემდეგი მოდულები:

1. ავადმყოფის მოვლა
2. შინმოვლა
3. გერინტოლოგია დაგერიატრიის საფუძვლები
4. საქთნო პრაქტიკის პრინციპები სხვადასხვა ტიპის სამედიცინო დაწესებულებაში
5. კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვის პრინციპები.

- **შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა ცენტრი“,** ს/კ 209446900, მიქამართი - ქ. თბილისი იპოლიტოვ ივანოვის ქ. N8. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ გაცემული, სანებართვო მოწმობა N000693, დაწესებულებასთან ხელშეკრულება გაფორმებულია 2025 წლის 22 თებერვალს, ხელშეკრულება ძალაშია 7 წლის ვადით. დაწესებულება ერთდროულად მიიღებს 48 პროფესიულ სტუდენტს, მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში ინსტრუქტორთა თანაფარდობა განსაზღვრულია 1/7;

კლინიკაში განხორციელდება შემდეგი მოდულები:

1. კლინიკური პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია;
2. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია;

- **შპს „ აკადემიკოს ო.ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი“**, ს/კ 202193544, მისამართი - ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. N66/ბოხუას ქ. N12; საქართველოს შრომის,ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ გაცემული, სანებართვო მოწმობა N000765, დაწესებულებასთან ხელშეკრულება გაფორმებულია 2025 წლის 27 თებერვალს, ხელშეკრულება ძალაშია 7 წლის ვადით. დაწესებულება ერთდროულად მიიღებს 53 პროფესიულ სტუდენტს, მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში ინსტრუქტორთა თანაფარდობა განსაზღვრულია 1/7.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კლინიკაში განხორციელდება შემდეგი მოდულები:

1. კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
2. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
3. კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
4. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
5. კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
6. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
7. კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
8. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
9. კლინიკური პრაქტიკა- სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
10. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა.
11. კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები
12. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები.

მხარეთა შორის გაფორმებული ხელშკრულებებით განსაზღვრულია მხარეთა ვალდებულებები, პროფესიული სტუდენტების ინფორმირების, მათი სწავლებისა და შეფასების, მხარდაჭერისა და სწავლების მიდგომებთან დაკავშირებული საკითხები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია, პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმით.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„საექთნო განათლება“** განხორციელებისთვის შემუშავებულია უსაფრთხოების სტანდარტული ნორმები. პროფესიული უსაფრთხოების ნორმების უზრუნველსაყოფად ლაბორატორიებში გამოკრულია შესაბამისი ინსტრუქციები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პრაქტიკის ობიექტთან - შპს „ქალაქ თბილისის წმინდა მიქაელის ჰოსპიტალი“ გაფორმებული ხელშეკრულება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2. პრაქტიკის ობიექტთან - შპს „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი საუნივერსიტეტო კლინიკა“გაფორმებული ხელშეკრულება;
3. პრაქტიკის ობიექტთან - ააიპ „კოალიცია შინმოვლა საქართველოში“ გაფორმებული ხელშეკრულება;
4. პრაქტიკის ობიექტთან - შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა ცენტრი“ გაფორმებული ხელშეკრულება;
5. პრაქტიკის ობიექტთან - შპს „ აკადემიკოს ო.ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი“ გაფორმებული ხელშეკრულება;
6. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები”;
7. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 27 თებერვლის N15 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„საექთნო განათლება“** და მისი დანართები;
8. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 08 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
9. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 27 ივნისის N43 ბრძანებით დამტკიცებული აკადემიის „სასწავლო ფართის განაწილების სქემა და დასაბუთება“;
10. პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელთა პირადი საქმეები;
11. დაწესებულების მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტები;
12. დაწესებულების მატერიალური რესურსის დათვალიერების შედეგები;
13. აკადემიის პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
14. აკადემიის ვებგვერდი - https://bdc-academy.ge

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები” არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასებას, სადაც მოცემულია ინფორმაცია შეფასების, განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესების შესახებ. ზემოაღნიშნული წესი არეგულირებს, ასევე, შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვისა და განკარგვის, ასევე საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემიის რეგულაციის მიხედვით, განმსაზღვრელ შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი მოდულში/სწავლის შედეგში მითითებული შეფასების მიმართულების ფარგლებში და შესაბამისი სწავლის შედეგ(ებ)ის თემატიკაზე დაყრდნობით; მოდულის განხორციელების დაწყებამდე პროფესიული განათლების მასწავლებელი, სასწავლო პროცესის მენეჯერს წარუდგენს მოდულის შესაბამისი განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტს და ხდება წარდგენილი შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური/ფორმალური შემოწმება. სასწავლო პროცესის მენეჯერი, თავის მხრივ უზრუნველყოფს ინსტრუმენტის ვალიდაციას, ვალიდაციის პროცესში ჩართულები არიან დარგის სპეციალისტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები", ასევე აკადემიის დირექტორის აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმები", რომელიც არეგულირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის საკითხებს.

ვინაიდან აკადემიას ჯერ პროფესიული სტუდენტები არ ჰყავს, მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენების საკითხები ვერ შეფასდა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. კერძოდ: აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმების" მე-12 მუხლის მიხედვით, შეფასების მტკიცებულებები შეინახება პროფესიული სტუდენტის კვალიფიკაციის მინიჭებამდე, სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და შეინახება არანაკლებ 3 წლის ვადით.
ვინაიდან აკადემიას ჯერ პროფესიული სტუდენტები არ ჰყავს, მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენების საკითხები ვერ შეფასდა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.
აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმების" მიხედვით გათვალისწინებულია სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების გამოყენება. რეგულაციაში გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება მათ შეფასებასთან დაკავშირებით, ასევე, შედეგების საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებლებისაგან დამატებითი კონსულტაციების მიღების შესაძლებლობა.

ინტერვიურებით დადასტურდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა მხრიდან სტუდენტთა მხარდაჭერა და შეფასების შედეგების გამოყენება მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები";
2. აკადემიის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმები";
3. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს შედეგები;
4. აკადემიის ვებგვერდი - https://bdc-academy.ge

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

17.07.2025
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: